პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ., ტფ. კომიტეტის და ცაკ-ის ორგანო

ფასი 10 კაპ.
პარასკევი
12
ოქტომბერი
1934 წ.
№ 237 (4093)

დღეს ნომერში

- ამხ. მ. მ. ლიტვინოვის საუბარი ჰავასის სააგენტოს მოსკოველ კორესპონდენტთან.
- უცხოეთის პრესის გამოხმაურება მარსელში მომხდარ ამბებზე.
- საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება
- განთავისუფლეს აღმ. ჩინეთის რკინისგზის 11 საბჭოთა მოსამსახურე.
- ესპანეთის მთელი რიგი პროვინციები აჯანყებულთა ხელშია.
- ესპანეთის კომპარტიის მოწოდება ხელისუფლების დაპყრობისათვის
- საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მისალმება მოლდავიის ავტონომიურ რესპუბლიკას.
- ერევანში გაიხსნა ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა კავკასიის ყრილობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭარხლის ამოღება-გადაზიდვა ყურადღების ცენტრში

ამიდინარე წელს ჭარხალი ამოღებული უნდა იქნას 4.432 ჰექტარზე. 5 ოქტომბრის ცნობების მიხედვით ამოღებულია ჭარხალი 3701 ჰექტ., რაც შეადგენს გეგმის 83,5 პროცენტს. მოსავლის აღება უნდა დამთავრდეს 20 ოქტომბრისათვის. მაშასადამე, დარჩენილია 8 დღე, რომლის განმავლობაში გეგმის დარჩენილი ნაწილი მთლიანად და გადაჭარბებით უნდა შესრულდეს.

ჭარხლისათვის ბოლშევიკური ბრძოლის მაგალითი მოგვცა კასპის რაიონმა (რაიკომის მდივანი ამხ. კევლიშვილი, პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. კირვალიძე). მან ჭარხლის ამოღებისა და ჩაბარების წლიური გეგმა 5 ოქტომბრისათვის შეასრულა გადაჭარბებით და ვადაზე ადრე. კოლმეურნეობებმა ჭარხლის ჩაბარების გეგმა შეასრულეს 105 პროც., ერთპიროვნულმა მეურნეობებმა — 121 პროც. კასპის რაიონის ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა ბოლშევიკურად გადასწყვიტეს მათ წინაშე დაყენებული საბრძოლო ამოცანები ჭარხლის ამოღება-დამზადების საქმეში.

სახელმწიფოსათვის ჭარხლის ჩაბარების გეგმა თავის დროზე უნდა შესრულდეს. ამისათვის არსებობს ყოველგვარი პირობა. მთავარია ოპერატიულობა და კონკრეტულობა მუშაობაში, საქმის სწორი ორგანიზაცია მეორე მხრივ. წელს ჭარხლის მოსავალი კარგი გვაქვს. გასულ წელთან შედარებით ჭარხლის მოსავლიანობა ჰექტარზე თვალსაჩინოდ გაიზარდა. 1933 წ. კოლმეურნეებმა აიღეს ჰექტარზე 76,5 ცენტნერი საშუალოდ. 1934 წ. კი მოსავალი ჰექტარზე ნავარაუდევია 89.3 ცენტნერი. ეს არ არის მხოლოდ „ვარაუდი", ეს რეალური შესაძლებლობაა; რეალური გეგმა ამაზე მეტყველებს ფაქტები. ზემო-ოსიაურის (სტალინისის რაიონი) კოლმეურნეობამ ჰექტარიდან მიიღო 150 ცენტნერი ჭარხალი. ქვემო-ხიდურის კოლმეურნეობამ — 170 ცენტ., ხოლო კასპის კოლმეურნეობაში ჰექტარზე აღებული იქნა 190 ცენტნერი.

მაგრამ ზოგან გვაქვს საგრძნობი ჩამორჩენა ჭარხლის ჩაბარებაში.

მაგალითად, აგარის ჭარხლის საბჭოთა მეურნეობას 3 ოქტომბერს ჩაბარებული ჰქონდა 14714 ცენტნერი, გეგმა კი ითვალისწინებს 55 ათასი ცენტ. დამზადებას. აქედან ცხადია, აგარის პარტიულმა ორგანიზაციამ ფართოდ უნდა გაშალოს ბრძოლა ჭარხლის დამზადებისათვის.

დანაკარგებთან ბრძოლა ყველგან არ არის გამახვილებული, ამოღების მაღალი ხარისხი ბევრგან არ არის დაცული. ჭარხლის ამოღება უნდა ხდებოდეს აგროწესების ზუსტად დაცვით, ნამდვილად კი ბევრგან ეს ასე არ ხდება და დანაკარგებიც საგრძნობი გვაქვს. მეტიც კიდევ. ზემო-ოსიაურის და დირბის კოლმეურნეობებში (სტალინისის რაიონი) ჭარხალს ხარ-კამეჩებს აჭმევენ. დირბის კოლმეურნეობაში ჭარხლის თავის დროზე გადაზიდვას ვერ ახერხებენ. ყოველივე ეს ზრდის დანაკარგებს, ამცირებს მოსავალს, აფუჭებს ხარისხს.

ბევრგან ჭარხლის გადაზიდვა კიდევ არ არის წესიერად მოწყობილი. ჭარხლის ამოღება და მისი გადაზიდვა უნდა ხდებოდეს ერთ და იმავე დროს. ხშირად ეს წესი ვერ ხორციელდება და ჭარხლის გადაზიდვის საქმე ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. 1 ნოემბრისათვის ჭარხლის გადაზიდვის გეგმა უნდა შესრულდეს მთლიანად. არსებული ტემპები ვერ უზრუნველყოფს ამ ვადის დაცვას. სტალინისის რაიონი განიცდის სატვირთო ავტომობილების ნაკლებობას. ხოლო ამიერ-კავკასიის რკინისგზის სამმართველო ყოველდღიურად 52 ვაგონის ნაცვლად იძლევა 18 ვაგონს. აგრეთვე ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ აგარის საბჭოთა მეურნეობაში 4 ოქტომბერს გადაუზიდავი ჭარხლის რაოდენობა აღემატებოდა 5 ათას ცენტნერს.

ჭარხლის გადაზიდვის ტემპები არ არის დამაკმაყოფილებელი!

ჭარხლის რაიონების პარტორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა: ჭარხლის გადაზიდვის სწორად მოწყობა, გადაზიდვის უზრუნველყოფა, დანაკარგებთან ბრძოლის ფართოდ გაშლა, ამოღების ხარისხის უზრუნველყოფა, და რაც მთავარია, სახელმწიფოსათვის ჭარხლის ჩაბარების გეგმის თავის დროზე შესრულება.

◆

მეტი მზრუნველობა სარეწაო კოოპერაციას

სარეწაო კოოპერაციის მუშაობის თავის სიმაღლეზე დაყენება ერთ-ერთი მთავარი პირობაა საბჭოთა ბაზრის უზრუნველსაყოფად ფართო მოხმარების საქონლით.

აშკარაა, რომ სარეწაო კოოპერაციამ უკანასკნელი წლების მანძილზე თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვა. ჩამოყალიბებულია 491 არტელი, 1934 წლის პირველ ნახევრისათვის სარეწაო კოოპერაციის სისტემაში გაერთიანებული იყო 17.301 წევრი.

მუშაობის ახლებურად გარდაქმნასთან დაკავშირებით თვალსაჩინოდ შემცირდა სარეწაო საბჭოს აპარატი. ნაცვლად 351 კაცისა, 207 კაცი მუშაობს, ძირეულ სამუშაოზე კი გადაყვანილია 55 კაცი.

მაგრამ სარეწაო კოოპერაციას ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი აქვს. **1934 წლის გეგმა 8 თვის განმავლობაში მთელმა სისტემამ მხოლოდ 58 პროცენტით შეასრულა.**

რა აბრკოლებს გეგმის შესრულებას? ის, რომ მთელ რიგ არტელებში ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. ნედლეულის სიმცირის გამო ნაკლებია მუშათა დატვირთვა, ადგილი აქვს არტელებში მუშათა სისტემატიურ დენადობას. მარტო 1934 წელს სარეწაო კოოპ. სისტემიდან 750 წევრი წავიდა.

სარეწაო კოოპერაციის მუშაობის ხელისშემშლელი მიზეზი ისიცაა, რომ არტელებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი მტაცებლობას, ფასების საბჭოთა პოლიტიკის უხეშ დამახინჯებას. ბაღდათის არტელ „პირველ ნაბიჯში" ჩიჩუამ, ჩიგოგიძემ და ბაღდავაძემ მიითვისეს 11.000 მანეთი.

სურამის ფეხსაცმელების არტელ „ხინათლის" თავმჯდომარემ ბლიაძემ გაფლანგა 9,000 მანეთი. ამგვარი საქმეები (გაფლანგულია სულ 178,836 მანეთზე მეტი) რვა თვის წინათ გადაეცა პროკურატურას და სისხლის სამართლის ორგანოებს, მაგრამ შედეგი დღემდე არ სჩანს.

მრავალ არტელში არც ფასების საბჭოთა პოლიტიკის დარღვევას ერიდებიან. ზესტაფონის ფეხსაცმელების არტელ „ზრდაში" ქალის ჩულქებს 12 მანეთის ნაცვლად 15—20 მანეთად ყიდდენ. სახვის (მახარაძის რაიონი) არტელ „ქალთა კავშირში" ფეხსაცმელი, რომლის ფასი 58 მანეთის იყო, 100—180 მანეთად იყიდებოდა.

რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ არტელებს, ნაკლებად ზრუნავენ კვალიფიციური, შემოწმებული კადრებით მათი განმტკიცებისათვის.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სარეწაო არტელებს მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ. არტელების მუშაობაში დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას არსებული ნაკლოვანებანი.

მოურიდებლად უნდა განიდევნონ სარეწაო კოოპერაციის სისტემიდან მტაცებლები, მატყუარები, ქურდები, ფასების პოლიტიკის დამმახინჯებლები.

უნდა გაძლიერდეს სოციალისტური შეჯიბრება პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, წუნის მინიმუმამდე დაყვანისათვის.

მოლდავიის საბჭოთა რესპუბლიკის 10 წლის თავი

ტირასპოლი

მოლდავიის ავტონომიური სსრ-ის ცაკს და სახკომსაბჭოს
უკრაინის კ.პ (ბ) საოლქო კომიტეტს.
ამხ. ვორონოვიჩს, სტარის, ბულატს.

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მხურვალე სალამს უთვლიან მოლდავიის მუშებს, კოლმეურნეებს და ყველა მშრომელს მოლდავიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის ათი წლის თავზე.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გატარების საფუძველზე, მოლდავია ჩამორჩენილი განაპირა მხარიდან ხდება მთლიანი კოლექტივიზაციის და მზარდი მრეწველობის ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად, სადაც საბჭოთა ნაციონალური კულტურა სწრაფი ტემპებით ვითარდება.

საბჭოთა მოლდავიის მშრომელთა წინაშე კიდევ უფრო დიდი ამოცანები დგანან მეცხოველეობის აღმავლობის და საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობათა მინდვრების მოსავლიანობის აწევის საქმეში, მრეწველობის განვითარების და საბჭოთა სოციალისტური კულტურის შემდგომი მშენებლობის საქმეში.

სსრკ-ის სახკომსაბჭო და საკ. კ.პ. (ბ) ც.კ-ი დარწმუნებული არიან, რომ მოლდავიის ავტ. სსრ-ის მუშები და კოლმეურნეები ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ღირსეულად იბრძოლებენ ამ ამოცანების შესრულებისათვის და უკრაინის და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად ახალ და კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევენ სოციალიზმის — ჩვენი დიდი სამშობლოს ძლიერების განმტკიცების საფუძვლის — მშენებლობის საქმეში.

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭო.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

უცხოეთის პრესის გამოხმაურება მარსელში მომხდარ მკვლელობაზე

ამხ. ლიტვინოვის საუბარი ჰავასის სააგენტოს მოსკოველ კორესპონდენტთან

ჰავასის სააგენტოს წარმომადგენელ ბ—ნ რ. ჟილთან საუბრის დროს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. მ. მ. ლიტვინოვმა შემდეგნაირად შეაფასა ლუი ბარტუს პიროვნება:

„ტრაგიკულად დაღუპულ ბარტუს მე ვიცნობდი 1922 წლიდან, გენუის კონფერენციიდან, მაგრამ მასთან ახლო ურთიერთობა მხოლოდ უკანასკნელი წლის განმავლობაში მქონდა. საფრანგეთის მწუხარებას, რასაც ბევრი ქვეყანა იზიარებს, განსაკუთრებით მწვავედ გრძნობენ ის ადამიანები, რომელნიც პირადად იცნობდენ განსვენებულ ლუი ბარტუს და მასთან უშუალო კონტაქტს ამყარებდენ. მე ბოლო დროს, პატივი მხვდა მრავალჯერ შევხვედროდი განსვენებულს. ამ შეხვედრებიდან მე არ შემეძლო მის პიროვნებისადმი უღრმესი პატივისცემის გრძნობა არ გამომეტანა. აქ არ შევჩერდები იმ როლზე, რომელიც ბარტუმ შეასრულა საფრანგეთის რესპუბლიკის და საბჭოთა კავშირის ურთიერთ დაახლოვების საქმეში, მშვიდობიანობის ორგანიზაციის პროგრამის გადასაწყვეტად ევროპაში. მხოლოდ უნდა ვთქვა, რომ თუ ამ მოძრაობას საფუძველი ბ—მა ერიომ დაუდო და იგი პოლ-ბონკურმა განაგრძო, ლუი ბარტუმ ამ საქმეში განსაკუთრებული გულმოდგინება და, მე ვიტყოდი, თავგამოდება გამოიჩინა. საუბრები ბარტუსთან ეჭვს არ სტოვებდენ, რომ მან დიდი მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწის ჭკუით შეიგნო იმ საფუძვლების სისუსტე, რომლებსაც ემყარება ევროპის მშვიდობიანობა, და იმ საფრთხის სერიოზულობა, რომელიც ამ მშვიდობიანობას ემუქრება. მან შეიგნო არარაობა და არასაიმედო ლოზუნგისა — „თავს უშველეთ, ვისაც შეგიძლიათ" და მშვიდობიანობის მოწყურებულ ყველა სახელმწიფოს კოლექტიურ ღონისძიებათა მნიშვნელობა და აუცილებლობა. მან შეიგნო, თუ რა მნიშვნელობა აქვს მძლავრ საბჭოთა სახელმწიფოს მონაწილეობას ამ კოლექტიურ ღონისძიებებში, და რაკი ეს შეიგნო, მან გადაწყვიტა ემოქმედნა და ენერგიულადაც ემოქმედნა.

მინდოდა აღმენიშნა აგრეთვე ბარტუს ლოიალობა და მის სიტყვათა და დაპირებათა საიმედობა.

მისი საჯარო გამოსვლები პირდაპირობა, სერიოზულობით და დამაჯერებლობით გამოირჩეოდენ. იგი თავისი გამოსვლების აზრის და სიცხადის საზიანოდ დიპლომატიურ ფრაზებს არ მიმართავდა. ამას უნდა დავძინოთ, რომ, მისი ჭკუის, გონებამახვილობის და ყოველმხრივი განათლების წყალობით, მასთან საუბრები ყოველთვის ჭეშმარიტად ესთეტიურ კმაყოფილებას გვაგრძნობინებდენ.

მისი სახით საფრანგეთმა, უეჭველია, დიდი სახელმწიფო მოღვაწე დაკარგა, ხოლო მშვიდობიანობის მტკიცე ორგანიზაციით დაინტერესებულმა ქვეყნებმა — მძლავრი თანამებრძოლი.

ყველა, ვინც განსვენებულს პირადად იცნობდა, როგორც მე, მას ღრმა მადლობით მოიხსენიებს" (ატს).

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება

პარიზი, 10 ოქტომბერი. მეფე ალექსანდრის და მინისტრ ბარტუს მოკვლასთან დაკავშირებით, კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება მშრომელებისადმი. მოწოდებაში ნათქვამია, რომ თავით-ფეხებამდე შეიარაღებულ კაპიტალისტურ მსოფლიოში ერთ ტერორისტულ მკვლელობას მოსდევს მეორე. ვენაში დოლფუსის მოკვლის რამდენიმე კვირის შემდეგ, — ნათქვამია მოწოდებაში, — მარსელში მოჰკლეს სამხრეთ-სლავიის მეფე ალექსანდრე და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბარტუ. სარაევოს 1914 წლის მკვლელობა მოაგონებს ყველა ერს, რომ ინდივიდუალური ტერორი ომის პროვოკაციის მიზნით იმპერიალისტების საყვარელი იარაღია"... მეორეს მხრივ, — ნათქვამია მიმართვაში, — ფაშისტური ძალები, რომელნიც საფრანგეთში თავისუფლად ისხამენ იარაღს, ცდილობენ ყოველი ინციდენტი და მარსელში მომხდარი მკვლელობა გამოიყენონ სამოქალაქო ომის გასაჩაღებლად. გუშინ საღამოთი, — იუწყება საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი — ფაშისტური ორგანიზაციები „კრუა დე ფე", „კამლო დიუ რუა", „ჟენეს პატრიოტი" და ფინანსისტები შეეცადენ გაეჩაღებინათ პარიზში პროვოკაციული აგიტაცია. ცენტრალური კომიტეტი მოაგონებს მშრომელებს, რომ მათ მართებთ განსაკუთრებული სიფხიზლე; ისინი მზად უნდა იყვნენ დაიცვან თავისი კლასობრივი ორგანიზაციები ფაშისტების თავდასხმისაგან. გუშინ მომხდარი სერიოზული ამბების წინაშე ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მშრომელ მასებს გააძლიერონ მოქმედების ერთიანობა მშვიდობიანობისა და თავისუფლებისათვის საბრძოლველად" (ატს).

საფრანგეთი

პარიზი, 10 ოქტომბერი. მარსელის ამბებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა პოლიტიკურ წრეებში. „ეკო დე პარი" სწერს: „განა საჭიროა ლაპარაკი ბნელ ძალებზე, რომელნიც უკანასკნელი წლის განმავლობაში დრო გამოშვებით, რეგულარულად აწყობდენ მკვლელობებს ევროპაში: ჯერ მოჰკლეს რუმინეთის პრემიერი დუკა, შემდეგ დოლფუსი ავსტრიაში. ჩვენ მაშინ ვწერდით: დამთავრდა თუ არა ეს სერია? საფრანგეთის და უცხოეთის საზოგადოებრივ აზრს არ შეუძლია მარსელის მკვლელობა არ შეაფასოს როგორც ამ სერიის ნაწილი. იბადება კითხვა: ხომ არ უმიზნებდენ სპეციალურად მათ, ვინც იცავს ევროპის საზღვრებს, დაწესებულს 1919-20 წლების ხელშეკრულებებით".

„ორდრ" სწერს:

„ჩვენ იძულებული ვართ აღვნიშნოთ, რომ უცხოეთის ბირჟები გუშინ დახურული იყო, გარდა ბერლინის ბირჟისა. რას მოელოდენ ბერლინში"?

„ეური" აღნიშნავს რა, რომ გუშინდელი ამბები აფერხებს საფრანგეთ-იტალიის და სამხრეთსლავია-იტალიის დაახლოების დაწყებულ საქმეს, მიუთითებს დოლფუსის მკვლელობაზე და შემდეგ იძლევა კითხვას: „სამხრეთ-სლავიის მეფის მკვლელი იმ ბნელი ძალების იარაღს ხომ არ წარმოადგენს, რომელნიც უკვე ერთი თვის განმავლობაში ცდილობდენ მკვლელებსა და სანაპირო კონფლიქტების მეშვეობით გაეჩაღებინათ ომი ალპებსა და ადრიატიკას შორის"?

#

გერმანია

ბერლინი, 10 ოქტომბერი. გაზეთის სვეტები თითქმის მთლიანად დაკავებულია მარსელის ამბების დეტალების აღწერით. ამბების პოლიტიკური მნიშვნელობის შეფასებაში გაზეთები თავს იკავებენ. ზოგიერთ გაზეთში გამოსჭვივის იმედი, რომ მოსალოდნელია საფუძვლიანი ცვლილებები ევროპის პოლიტიკურ განვითარებაში, განსაკუთრებით მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

მთელი რიგი გაზეთები ცუდად დაფარული კმაყოფილებით აღნიშნავენ აგრეთვე, რომ მკვლელობის შედეგად ჩაიშალა საფრანგეთ-სამხრეთსლავიის მოლაპარაკება, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, განსაკუთრებით საფრანგეთ-იტალიის დასახულ დაახლოებასთან დაკავშირებით.

პრესა განსაკუთრებული თანაგრძნობით იხსენიებს მეფე ალექსანდრეს. „გერმანიის ხალხისთვის მით უფრო დიდია ის მძიმე დანაკლისი, რომელიც სამხრეთ-სლავიის ერმა განიცადა, — სწერს „ფელკიშერ ბეობახტერი", — რომ უკანასკნელ დროს სამხრეთ-სლავიის და გერმანიის ურთიერთობა გაღრმავდა". ბარტუს მიმართ კი გაზეთები თანაგრძნობის სტერეოტიპულ გამოთქმასთან ერთად არ ივიწყებენ იმის აღნიშვნას, რომ იგი „გერმანიის შეურიგებელი მტერი იყო" (ატს).

#

იტალია

რომი, 10 ოქტომბერი. ოფიციოზური „ჯორნალე დ'იტალია" ბარტუს და სამხრეთ-სლავიის მეფის მკვლელობის გამო სწერს:

„მთელი იტალიის ხალხი ღრმად დამწუხრებულია ბარტუს მოულოდნელი ტრაგიკული სიკვდილით. იტალიის ხალხმა იცის, რომ ბარტუს სახით დაიღუპა არა მარტო საფრანგეთის ხალხის ინტერესების საუკეთესო, პატიოსანი დამცველი, არამედ აგრეთვე იტალიის ნაცადი, გულწრფელი მეგობარი.

მეფე ალექსანდრეს მკვლელობის შესახებ გაზეთი უფრო თავდაჭერილად ლაპარაკობს. „მეფე ალექსანდრე, — წერს გაზეთი, — გახდა მსხვერპლი პარტიების და ეროვნებათა გაფთრებული კონფლიქტისა სამხრეთსლავიის შიგნით, იმ პოლიტიკური შეხვედრის მომენტში, რომლისგანაც შერიგების ახალ პროექტებს მოელოდენ" (ატს).

#

პოლონეთი

ვარშავა, 10 ოქტომბერი. მარსელის ამბებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ, რომ პოლონეთის მოკავშირე სახელმწიფოების — საფრანგეთის და სამხრეთსლავიის ხელმძღვანელი პირების მოკვლამ შეარყია ევროპის სტატუს-ქვოს საფუძველი. მთავრობის „კურიერ პორანი" აცხადებს: „საარის მკვლელობის შემდეგ არ ყოფილა ესოდენი სერიოზული შედეგების შემცველი პოლიტიკური თავდასხმა. ეს შედეგები პირველ რიგში შეეხება სამხრეთსლავიას და საფრანგეთს, აგრეთვე მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებს, რომელთა გადაჭრას ხელი მოჰკიდეს ბარტუმ და მეფე ალექსანდრემ. მინისტრი ბარტუ დაიღუპა მისი ფართო საერთაშორისო გეგმების განხორციელების კულმინაციურ მომენტში, ისე, რომ ვერ მოასწრო მათი ბოლომდე მიყვანა"

კანდიდატები საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე

პარიზი, 11 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, საგარეო საქმეთა მინისტრის კანდიდატებად ასახელებენ ყოფილ პრემიერს ლავალს, სენატის საგარეო კომისიის თავმჯდომარეს ბერანჟეს და ვაჭრობის მინისტრს ფლანდენს (ატს).

ინსტრუქციები საიტოსის ელჩს

ტოკიო, 9 ოქტომბერი. საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელ მოხელეთა თათბირმა, იაპონიის ვაშინგტონელი ელჩის საიტოს მონაწილეობით, ვაშინგტონში მიმავალ საიტოსათვის ინსტრუქციების დამუშავებისას, აღიარა, რომ საიტოს მთავარი ამოცანა მის მომავალ მუშაობაში უნდა იყოს უზრუნველყოს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის რაიმე პაქტის დადება წყნარ ოკეანეზე მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად. ამერიკასთან პაქტის დადება, გაზეთების სიტყვით, უზრუნველყოფდა მანჯურიის, ჩინეთის და სხვა საკითხების სწრაფად გადაჭრას. თათბირი საჭიროდ სთვლის, რომ საიტომ ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივობის და მთავრობის წრეების ყურადღება მიაქციოს მანჯოუგოს ნამდვილ მდგომარეობაზე, „დაარწმუნოს ისინი, რომ იაპონია მზად არის დაიცვას მანჯურიასა და ჩინეთში ღია კარების და თანაბარ შესაძლებლობათა პრინციპი. აგრეთვე ხაზი გაუსვას იმას, რომ იაპონია „სტაბილიზაციის ერთად-ერთი ფაქტორია შორეულ აღმოსავლეთში" (ატს).

სამხედრო მრეწველობის ზარალი ტაიფუნისაგან

ტოკიო, 9 ოქტომბერი. სიმბუნიენგოს სააგენტო იტყობინება, რომ სამხედრო სამინისტროს ცნობებით, ტაიფუნის დროს დასავლეთ იაპონიის სამხედრო მრეწველობის სხვადასხვა საწარმოში დაიღუპა 50 მილიონი იენის სამხედრო მასალა. (ატს).

განთავისუფლეს 11 საბჭოთა მოსამსახურე

ტოკიო, 10 ოქტომბერი. სიმბუნრენგო იტყობინება, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღებულია [illegible] ცნობა იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზ. 11 საბჭოთა მოსამსახურე, რომელნიც დაპატიმრებული იყვნენ ეჭვით აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მცველი რაზმის მიერ სამხრეთ ხაზზე მატარებლის მარცხში მონაწილეობის მიღებისათვის, 6 ოქტომბერს განთავისუფლებულ იქნენ მხილებათა უქონლობის გამო (ატს).

„განთავისუფლეთ ტელმანი"

ლონდონი, 10 ოქტომბერი. გუშინ გერმანიის საელჩოს შენობის სახურავზე აღმართეს დროშა წარწერით „განთავისუფლეთ ტელმანი". დღეს სტრენდის ქუჩაზე დასავლეთ ლონდონის (ერთ-ერთი მთავარი ქუჩა) გამოჩნდა დროშა ასეთივე წარწერით. დროშამ, სანამ მას ჩამოხსნიდენ, საყოველთაო ყურადღება მიიპყრო (ატს).

საბჭოთა კავშირში

სამრეწველო საქონლის გაგზავნის შესახებ

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატმა დაავალა სამეურნეო ორგანიზაციებს სასწრაფო წესით გაგზავნონ სამრეწველო საქონელი, რომელიც გამოყოფილია პურის შესყიდვის სტიმულირებისათვის. 25 ოქტომბრისათვის უნდა დამთავრდეს ლითონის, ლურსმნის, სხვადასხვა ჭურჭლეულობის, ველოსიპედების, საკერავი მანქანების, ჯიბის საათების, პატეფონების, ელექტრო-მოწყობილობის და სხვ. გაგზავნა. სამოვრები უნდა გაიგზავნოს 20 ოქტომბრისათვის.

საქონლის თავის დროზე გაგზავნისათვის პასუხისმგებელი არიან სათანადო სამეურნეო ორგანიზაციების და საწარმოების ხელმძღვანელები (ატს).

მიჩურინსკის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. მიჩურინსკში მიჩურინის იუბილესათვის მოეწყო მეხილეობის დროებითი გამოფენა. ახლა, საბჭოთა კავშირის მიწსახკომის გადაწყვეტილებით, ეს გამოფენა გადაკეთებულია მუდმივ გამოფენად. იგი შევსებული იქნება მთელი რიგი ძვირფასი ექსპონატებით. დროებითი გამოფენის ორგანიზატორები დაჯილდოებული არიან. ხილის ყველა ძვირფასი ჯიში, რომელიც გამოფენილია ეხლა მიჩურინსკში, გაიგზავნება საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, რომელიც მოეწყობა საბჭოების [illegible]

პროფესორ ა. ორლოვს მისი მოღვაწეობის 35 წლის იუბილეს დღეს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სახელწოდება. პროფ. ორლოვს დიდი მიღწევები აქვს თვალის ავადმყოფობათა მკურნალობაში. მას ეკუთვნის 56 მეცნიერული ნაშრომი რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

სურათზე: პროფ. ორლოვი მიკროსკოპთან.

ამხ. ანდრეევი ელეცში

ელეცი, 10 ოქტომბერი. 10 ოქტომბერს ელეცში ჩამოვიდა გზათა სახალხო კომისარი ამხ. ანდრეევი. ამხ. ანდრეევმა დაათვალიერა საავარიო დეპოს მშენებლობა, წყალსადენი სოც. ქალაქი და სხვ. (ატს).

პოლარელთა შეხვედრა კამჩატკის პეტროპავლოვსკში

კამჩატკის პეტროპავლოვსკი, 10 ოქტომბერი. საქალაქო ორგანიზაციებმა გაუწყვეს „კრასინის" ეკიპაჟებს. ეკიპაჟებთან და ვრანგელის კუნძულის მოზამთრეებთან შეხვედრის საზეიმო საღამო.

საღამოები ტარდება ქალაქის ყველა კოლექტივში. პეტროპავლოვსკის მშრომელები მხურვალე შეხვედრას უმართავენ პოლარელებს.

„კრასინის" გასვლა ვლადივოსტოკისაკენ განზრახულია 12 ოქტომბრისათვის (ატს).

ლიტკელების ჩამოსვლა მოსკოვში

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. 10 ოქტომბერს ლენინგრადიდან მოსკოვში ჩამოვიდნენ ყინულმჭრელ „ლიტკეს" რეისის მონაწილეები. მათ შორის: ექსპედიციის უფროსი ამხ. დუპლიცკი, თანაშემწე პოლიტიკურ ნაწილში ამხ. შჩერბინინი, კაპიტანი ამხ. ნიკოლაევი, მფრინავი კუკანოვი და სხვ. ლიტკელები მოხსენებებით გამოვლენ მოსკოვის უდიდეს საწარმოებში (ატს).

ბამბის დამზადებაში ამიერ-კავკასია წინ მიდის

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. 5 ოქტომბრისათვის საბჭოთა კავშირში დამზადებულია 178.331 ტონა ბამბა, წლიური გეგმის 13,5 პროც. წინ მიდიან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები. დაუშვებლად ჩამორჩება უზბეკისტანი, სადაც გეგმა შესრულებულია მხოლოდ 10,8 პროცენტით (ატს).

ჩრდილოეთ-უელსში (ინგლისში) საშინელი აფეთქების შედეგად მაღაროს ნანგრევებს ქვეშ მოჰყვა 278 მაღაროელი მუშა.

სურათზე: მაღაროს ნანგრევებს ქვეშ მოყოლილი მუშების ნათესავები და მეგობრები ელოდებიან ცნობების მიღებას.

ესპანეთის მუშები გმირულად იბრძვიან

პარიზი, 10 ოქტომბერი. როგორც მადრიდიდან იტყობინებიან, მთავრობის ბრძანებებმა საყოველთაო გაფიცვის შეწყვეტის შესახებ გავლენა ვერ მოახდინეს, ისე როგორც უშედეგო გამოდგა განსაკუთრებული ზომებიც (ყველა რკინისგზელი გამოცხადებულია მობილიზებულად, ვინც სამუშაოზე არ გამოცხადდება, სამხედრო დეზერტირად ჩაითვლება).

ასტურიის ქვანახშირის რაიონში, ოვიედოს მახლობლად, მაღაროელნი კვლავ მდგომარეობის ბატონ-პატრონები არიან. მათ ხელთ ჩაიგდეს ქალაქი იტრუბიო. მუშები დაეუფლენ აგრეთვე სახელმწიფო იარაღის საწყობს და არტილერიის ბატარეას, რომლითაც ისინი უშენენ მთავრობის ჯარებს.

გარდა კრეისერ „ლიბერტადისა", რომელიც ამ დღეებში ასტურიის ნაპირებისაკენ გაიგზავნა, იქითკენ გაემართა აგრეთვე ჯავშნოსანი „ხაიმე", რომელმაც მაღაროელთა წინააღმდეგ დესანტი გადმოსხა. ბრძოლების რაიონში ახალი კოლონიალური ნაწილები გაიგზავნა. მაროკოდან ასტურიაში გაგზავნილია 10 ათასი ჯარისკაცი. „[illegible]რადატი" კვლავ ყუმბარებს უშენს [illegible], სადაც მუშები ჩასაფრებული არიან. ჰაერიდან მათ ყუმბარებს უშენენ თვითმფრინავები.

ქალაქ სან-ფრანცისკოში გუშინ მუშებსა და ჯარებს შორის ძლიერი სროლა წარმოებდა. ბრძოლაა აგრეთვე სან-სებასტიანის მახლობელ მთებში.

ბისკაიში 4 ათასმა შეიარაღებულმა მუშამ დაიპყრო ქალაქი. აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილი სამი ჯავშნოსანი დააკავეს მუშებმა, რომლებმაც ლიანდაგი და ხიდები ააფეთქეს.

ბილბაოს პროვინციაში მუშებს ხელთ უპყრიათ დიდი სამთოსამრეწველო რაიონი. შეიარაღებული მუშების ძლიერი რაზმები წარმატებით იგერიებენ ჯარების იერიშებს. თითონ ქალაქ ბილბაოში გუშინ განუწყვეტელი ბრძოლა წარმოებდა.

კადიქსის პროვინციაში, ქალაქ პრადო-დელ-რეიში, მუშები დაეპატრონენ ხელისუფლებას. მათ დასწვეს სასამართლოს და ქალაქის თვითმმართველობის შენობები. პოლიციის იერიშის შემდეგ მუშებმა მთებში დაიხიეს. ისინი ბრძოლას განაგრძობენ. სევილიაში ხდება შეიარაღებული შეტაკებანი. ჯარების დასახმარებლად მთავრობამ კონტრნაღმოსანი და კოლონიალური ჯარების რაზმები გაგზავნა.

კატალონიის პროვინციაში მთავრობამ მოახერხა დაეუფლებოდა მდგომარეობას მხოლოდ ბარსელონაში. პროვინციაში წინანდებურად სერიოზული ბრძოლა წარმოებს. ქალაქ ლერიდაში, სადაც აჯანყებულ მუშებს ჯარები მიესხნენ, ბრძოლა მესამე დღეა წარმოებს. თვითმფრინავებიდან ყრიან ფურცლებს, რომლებშიაც მოუწოდებდენ დანებდენ და ურჩობის შემთხვევაში იმუქრებიან ყუმბარების დაშენით. ქალაქმა გრანოლერსმა, რომელიც ხელთ იგდეს მუშებმა, ჯარებს ისეთი წინააღმდეგობა გაუწია, რომ არტილერიის ცეცხლით განადგურებულ იქნა მრავალი სახლი, სადაც მუშები ჩასაფრებული იყვნენ. ბრძოლა გუშინ ნაშუადღევამდე გრძელდებოდა.

ქალ. რიპოლსა და ვიჩში გლეხები ებრძვიან კოლონიალურ ჯარებს.

თითონ მადრიდში გუშინ სროლა გრძელდებოდა.

მადრიდთან ერთად, მრავალ სხვა ცენტრში, გაფიცვასთან დაკავშირებით, სურსათის მწვავე ნაკლებობაა.

ალბათ, მთავრობის ძალები საკმარისი არ არის აჯანყების ჩასახშობად, ვინაიდან გამოქვეყნდა მოწოდება მოხალისეებად ჩაეწერონ პოლიციელთა განსაკუთრებულ ნაწილებში.

მადრიდში დაიწყეს ახალგაზრდობის ფაშისტური ორგანიზაციის — რომლისის — წევრთა მობილიზაცია. გუშინ სამხედრო სასამართლოთა წინაშე წარსდგა 42 აჯანყებული, უმთავრესად ჯარისკაცი. მათ სიკვდილით დასჯა ემუქრება. (ატს).

ოვიედოში სასტიკ ბრძოლებს მოელიან

ლონდონი, 9 ოქტომბერი. იტყობინებიან, რომ ოვიედოში, რომელიც „აჯანყებულთა მთავარი სიმაგრეა", მოელიან ყველაზე გაფთრებულ ბრძოლას, როგორიც კი საყოველთაო გაფიცვის მთელი ხნის განმავლობაში ჯერ კიდევ არ მომხდარა. ქალაქზე დაფრინავენ თვითმფრინავები, რომლებიც ყუმბარებს ისვრიან. უცხოელთა ლეგიონის სამი საარტილერიო ოცეული და ორი პოლკი ოვიედოსაკენ მიიწევენ.

აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ქალაქი საბერო. ბილბაოში გუბერნატორმა დამხმარე ჯარები გამოითხოვა. მალაგაში საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა.

ასტურიაში აჯანყებულნი ორგანიზებულ ბრძოლას აწარმოებენ, ხოლო მადრიდის „წითელ გარეუბნებში" სერიოზული პარტიზანული შეტაკებანი ხდება.

მთელი რიგი პროვინციები აჯანყებულთა ხელშია

პარიზი, 10 ოქტომბერი. როგორც მადრიდიდან იტყობინებიან, 10 ოქტომბერს, დღის 1 საათზე, აჯანყებულთა ხელში იყო ყველა ვაგზალი მადრიდ-სარაგოსას ხაზზე. მადრიდში უკანასკნელ დღეებში დააპატიმრეს 2.500 მუშა. საპყრობილეები სავსეა.

მთელ ღამეს მადრიდში ცხარე სროლა წარმოებდა. ასტურია, ესტრამადურა და სხვა პროვინციები აჯანყებულთა ხელშია.

ესპანეთის კომპარტია უშვებს ფურცლებს, რომლებშიც მოუწოდებს მშრომელებს გაბედულად განაგრძონ ბრძოლა. მრავალ ადგილას კომუნისტებმა მოაწყეს თავისი საიდუმლო რადიოგადამცემი, რომელსაც ისინი გაფიცვისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად იყენებენ (ატს).

კომპარტია მოუწოდებს ხელისუფლებისათვის საბრძოლველად

ესპანეთის კომპარტიამ ხელისუფლებისათვის ბრძოლის ლოზუნგი წამოაყენა ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე, სანამ ესპანეთის პროლეტარიატის გმირული ბრძოლა დაიწყებოდა.

ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „მუნდო ობრერო" 1934 წლის 2 ოქტომბერს გამოვიდა პირველ გვერდზე მოთავსებული შემდეგი მოწოდებით:

„ფაშისტურ-კლერიკალურ-მონარქისტული ხროვა ამზადებს სახელმწიფო გადატრიალებას, რომ, თუ ჩაიშლება „კონსტიტუციური" გზით გადატრიალების მოხდენის ცდა, ფაშისტური დიქტატურა გამოაცხადოს და ხელისუფლება ლეროუ—ხილ რობლესს გადასცეს.

ჩვენი ლოზუნგია: „არც ერთი, არც მეორე".

მოწინავეში, რომლის სათაურია „ხელში აიღეთ ძალაუფლება", „მუნდო ობრერო" იმავე ნომერში წერს:

„ერთადერთ გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან კომპარტია უჩვენებს: მუშათა და გლეხთა მთავრობის შექმნა, ქალაქის და სოფლის მუშების მიერ ხელისუფლების დაპყრობა.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ძალაუფლება უნდა დავიპყროთ. არც ერთი კლასი არ დაუთმობს ადგილს მეორეს უკანასკნელი ვაზნის დაუხარჯავად. ესპანეთის კონტრრევოლუცია არ წამოიქცევა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ამას მისგან მოვითხოვთ. იგი წამოიქცევა მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ მასზე გავიმარჯვებთ ერთადერთი გზით, რომლითაც ომში იმარჯვებენ: როცა გავიმარჯვებთ ბრძოლაში.

ამხანაგებო, გაერთიანდით! შექმენით ერთიანი ფრონტის ორგანოები ყველა ქალაქში, სოფლებსა და საწარმოებში. ლეროუ-ხილ რობლესის მთავრობა ფაშიზმის ტერორისტული დიქტატურის მთავრობაა! ოდნავადაც ნუ დაენდობით ბურჟუაზიის და მემამულეთა რომელიმე მთავრობას. ექსპლოატირებულთათვის ახლა მხოლოდ ერთი გამოსავალია — წინ, მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისაკენ!"

„პრავდა".

გაიხსნა ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა კავკასიის ყრილობა

ერევანი, 11 ოქტომბერი. 11 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, კულტურის სახლში გაიხსნა ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა კავკასიის მე-4 ყრილობა.

ყრილობას 200 მეცნიერზე მეტი ესწრება. სამეცნიერო ცენტრებიდან ჩამოსულია 100-მდე კაცი, რომელთა შორის არიან აკადემიკოსები პალადინი, ლეონტოვიჩი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფ. ორბელი, პროფესორები რაზენკო, ციტოვიჩი, როზანსკი, ზბარსკი, ზავადოვსკი, კოშტოიანი და სხვ.

ყრილობა გახსნა სომხეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა ამხ. გევონდიანმა.

ამხ. გევონდიანის შესავალი სიტყვის შემდეგ ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს. საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიურო და ამხ. ბერია, ხანჯიანი, ბაგიროვი, მუხაბეგოვი, ტერ-გაბრიელიანი, გორკი, ტელმანი. ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს აკადემიკოსი პავლოვი.

ყრილობას მიესალმნენ სომხეთის კ.პ (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოსაგან განათლების სახალხო კომისარი ამხ. აგიაზარიანი, მეცნიერებათა უკრაინის აკადემიისა და ფიზიოლოგთა უკრაინული საზოგადოებისაგან — აკადემიკოსი პალადინი, ექსპერიმენტალური მედიცინის საკავშირო ინსტიტუტისაგან — პროფ. რაზენკო, [illegible]ხედრო სამედიცინო აკადემიისა და ლესგაფტის სახელობის სამეცნიერო ინსტიტუტისაგან პროფ. ორბელი, მეცხოველეობის საკავშირო ინსტიტუტისაგან პროფ. ზავადოვსკი. პროფ. ასრატიანი ყრილობას გადასცემს აკადემიკოს პავლოვის მისალმებას და ნაყოფიერი მუშაობის სურვილებს.

ყრილობას მიესალმა აგრეთვე [illegible] მშენის კოლექტივის დელეგაცია.

შემდეგ მოხსენებით [illegible] შესახებ მოხსენებით გამოვიდა პროფ. ორბელი.

ყრილობის მეორე პლენუმი შესდგება 12 ოქტომბერს, დილით (ატს).

საქართველოს ეროვნული

სარაიონთაშორისო კონფერენცია
მეცხოველეობის საკითხებზე
ქ. მახარაძე

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან).

ქ. მახარაძეში (ყოფ. ოზურგეთი) მეცხოველეობის საკითხებზე მოწვეულ სარაიონთაშორისო კონფერენციამ, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა, მოისმინა ჩოხატაურის პარტრაიკომის მდივნის ამხ. ბერაძის, მახარაძის პარტრაიკომის მდივნის მოადგილის ამხ. შაფაქიძის და ლანჩხუთის სამ.-სახ. სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილის ამხ. ცხვარაძის მოხსენებები.

[illegible] ამხანაგები უმთავრესად შეეხენ მათ რაიონებში პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადებას, აგრეთვე მეცხოველეობის ზრდას, კოლმეურნეობებში განსაზოგადოებული ჯოგის ფერმების მდგომარეობაზე გადაყვანას, უძრახობის ლიკვიდაციას, საძოვრების საკითხს და სხვ.

მოხსენებების დამთავრების შემდეგ მახარაძის რაიონის კოლმეურნეობათა ფერმების. მათში შრომის ორგანიზაციის და საკვები ბაზის შესახებ კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა სამ.-სახ. სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. დ. ფანცულაია.

კამათში მონაწილეობა მიიღო 16 კაცმა, მათ შორის ლანჩხუთის მოწყანის გამგემ ამხ. წილოსანმა, ვეტექიმმა ძნელაძემ, ჩოხატაურის მოწყანის გამგემ მებრელიშვილმა, მისმა მოადგილემ დოლიძემ; მახარაძის რაიონიდან: ამხ. კვაჭაძემ (მოწყანი), ამხ. თოიძემ (ვეტექიმი). ამხ. ხურციკიძემ (ზოოტექნიკოსი), გურიანთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. შ. ჩხაიძემ და სხვ.

*

პარტიის მე-17 ყრილობის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა და ამხ. სტალინის მითითების შემდეგ მახარაძის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის რაიონის ბოლშევიკებმა მეცხოველეობის საქმეს აქტიურად მოკიდეს ხელი. პირუტყვის სულადობის ზრდისა და ნამატის შენარჩუნების შესახებ კონფერენციაზე საკმაო ციფრები და ფაქტები იქნა მოყვანილი.

— მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლა სამივე რაიონში მაინც არადამაკმაყოფილებელი ტემპებით ვითარდება, განსაკუთრებით ცუდათაა საქმე პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების დარგში. ეს გამოირკვა როგორც მოხსენებებიდან, ისე კამათში გამოსულ ამხანაგების სიტყვებიდან.

ბოსლების შეკეთებისათვის არ ზრუნავენ

ლანჩხუთის რაიონში 68 ბოსელია—3248 სული მუშა-პირუტყვისათვის, მშენებლობის პროცესშია 16 ბოსელი, რომელთაგან არც ერთია მზად. ისე როგორც ლანჩხუთის, აგრეთვე ჩოხატაურის და მახარაძის რაიონებში ძველი ბოსლების შეკეთებისათვის ჯერ თავი არავის შეუწუხებია. ასევე ითქმის პროდუქტიულ საქონლის ბოსლებზეც.

ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონებში ახალი ბოსლები შენდება ტექნიკური ზედამხედველობის გარეშე, პრიმიტიულად. ძველი ბოსლები უსინათლოა, ვიწროა, პირუტყვისათვის შეუფერებელი. როგორც გამოირკვა ადგილებზე ასეთ ტენდენციას აქვს ადგილი: ჯერ სიმინდის მოსავალს ავიღებთ, დავაბინავებთ და შემდეგ შევუდგებით ბოსლების წესრიგში მოყვანას.

ამ [illegible] პრაქტიკის წინააღმდეგ არ არის მიღებული გადამჭრელი ზომები.

განსაკუთრებული ყურადღება საკვებ ბაზას

კონფერენციაზე მახარაძის რაიონიდან გამოსულმა ამხანაგებმა მწვავედ დააყენეს საკითხი საკვები ბაზისა და საძოვრების შესახებ.

ამხ. შაფაქიძემ და ამხ. ფანცულაიამ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მათ აქვთ როგორც უხეში, ისე კონცენტრირებული საკვების დიდი დანაკლისი. ეს იმ დროს, როცა ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობას 2000-მდე ჰექტარი აუთვისებელი აქვს ამ ფართობის სათიბად გამოყენება კი ადვილად შეიძლებოდა.

მოუგვარებელია საზაფხულო და საზამთრო საძოვრების საკითხი. ბახმაროს საძოვრები გაუპიროვნებულია, რაიონებს არ აქვთ მიჩენილი ნაკვეთები. საქმე დასწრებაზე.

მახარაძის რაიონში საკვები ბაზის გამონახვის და აგრეთვე საძოვრების მოწესრიგებას უნდა მიექცეს საქ. მიწსახკომის სერიოზული ყურადღება.

★

ამხ. ცხვარაძემ (ლანჩხუთი) თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ მათ დასილოსების გეგმა 75 პროცენტით შეასრულეს, 16 სასილოსე კოშკიდან აგეს მხოლოდ 6. ამის მიზეზი ისაა, რომ კოლმეურნეობათა უმრავლესობა დასილოსებასა და კოშკების მშენებლობას მოუმზადებელი შეხვდა, მათ მიღებული ცემენტი სათანადოდ ვერ გამოიყენეს.

უფრო ცუდი მდგომარეობაა ჩოხატაურის რაიონში.

— დასილოსებას თავის დროზე ვერ მოვკიდეთ ხელი, დავაგვიანეთ, ამიტომაა, რომ გეგმა მხოლოდ 55 პროცენტით გვაქვს შესრულებული—განაცხადა ჩოხატაურის რაიკომის მდივანმა ამხ. ბერაძემ.

ხსენებულ რაიონში სრულიად უპასუხისმგებლო დამოკიდებულება გამოიჩინეს კოლმეურნეობებმა „ახივმა" და „წინსვლამ", რომელთაც არც ერთი ტონა საკვები არ დაუსილოსებიათ.

შრომა მოუწესრიგებელია

როგორც გამოირკვა სამივე რაიონის საკოლმეურნეო ფერმებში შრომა მოუწესრიგებელია. მახარაძის რაიონიდან გამოსულმა ზოგიერთმა ამხანაგმა სცადა კონფერენციის შეცდომაში შეყვანა თითქოს მათთან შრომის ორგანიზაციის მხრივ კარგად იყო საქმე, მაგრამ ამაოდ.

ამხ. ფანცულაიამ სამართლიანად გააკრიტიკა გამოსული ამხანაგები. აი რა სთქვა მან:

— შრომის ანაზღაურების წესები შევიმუშავეთ, ნორმებიც დავაწესეთ, კოლმეურნეობებში საკითხი დავამუშავეთ, მაგრამ პრაქტიკულად ცხოვრებაში ჯერ კიდევ არ გაგვიხორციელებიათ.

სოფ. გურიანთის კოლმეურნეობის ფერმას 8 მოწველელი ჰყავს, რომელთაც შრომადღეები თანაბრად ეწერება. მოუწესრიგებელია შრომა აგრეთვე ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონის საკოლმეურნეო ფერმებში. სადაც ზოგან შრომის ანაზღაურება ისევ ძველი წესით წარმოებს.

სამართლიანი საყვედური

მომხსენებლები, კამათში გამოსული ვეტექიმები და ზოოტექნიკოსები (დოლიძე, თოიძე, ხურცკიძე) აღნიშნავდნენ, რომ რაიონებში ზოოვეტმომსახურების საქმე ცუდათაა დაყენებული.

— ვეტექიმების და ზოოტექნიკოსების სიმცირე, ამასთანავე მათთვის ხელფასის დროზე გაუსტუმრებლობა (ჩოხატაურში 8 თვის ხელფასი არ მიუღიათ) ვეტპუნქტების მოუწყობლობა, ტრანსპორტის უქონლობა—აი, რაზე ლაპარაკობდნენ ამხანაგები.

სოფ. ნაგომარში პირუტყვს ავადმყოფობა გაუჩნდა, მოულოდნელობით ბევრი დაეცა, ვეტექიმი კი მაშინ მივიდა, როცა საქმე თითქმის აღარაფერი იყო გასაკეთებელი.

ზოოვეტმომსახურების გაუმჯობესებას საქ. მიწსახკომმა და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა საქმით უნდა მოკიდონ ხელი.

კონფერენციაზე გამოსულმა ამხანაგებმა საკმაოდ ილაპარაკეს კოლმეურნეობებთან განსაზოგადოებულ ჯოგის ფერმების მდგომარეობაზე გადაყვანის შესახებ. გამოირკვა, რომ ამ დარგში ვერაა კარგად საქმე. ზოგან ფერმებს ჯერ კიდევ ვერ მიუღიათ თავისი სახე.

★

კამათის დამთავრების შემდეგ მოსმენილ იქნა „კომუნისტის" წარმომადგენლის ინფორმაცია საუკეთესო მწყემსზე საქ. მიწსახკომის და „კომუნისტის" მიერ გამოცხადებულ კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წარმომადგენელმა ამხ. ირ. ზუზუამ.

პირუტყვის წესიერად გამოზამთრების უზრუნველსაყოფად კონფერენციამ ცალკე რაიონების მიხედვით შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებები.

ჩაი

ჩოხატაურის რაიონში არ აფასებენ ჩაის საშემოდგომო სამუშაოებს

ჩაის საშემოდგომო სამუშაოები ყურადღების ცენტრში

მასალები, რომელიც ხელთა გვაქვს, მოწმობენ, რომ დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში საქმიანი მზრუნველობით არ ეკიდებიან ჩაის საშემოდგომო სამუშაოებს. ეს სხვათაშორის იქიდანაც ჩანს, რომ, საქმიწსახკომის 5 ოქტომბრის ცნობებით, ნიადაგის მომზადების წლიური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 38,9 პროც. (3080 ჰექტარის ნაცვლად მომზადებულია 1191 ჰექტ.). უველაზე უფრო ჩამორჩენილია გალის, ოჩემჩირის, მახარაძის, ხონის, ლანჩხუთის და წალენჯიხის რაიონები.

საგანგაშო მდგომარეობაა სამელიორაციო სამუშაოთა დარგშიც. „კომუნისტმა" თავის დროზე მისცა სიგნალი ჩაის რაიონების პარტიულ ორგანიზაციებს ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკითხი მათ მთლიანად ჯერ კიდევ უყურადღებოდ არის მიტოვებული. სამელიორაციო არხების გაყვანა გეგმით უნდა დამთავრდეს 1-ლ ნოემბერს. ფაქტიურად ეს სამუშაოები ჩატარებულია 114746 კუბიკური მეტრის რაოდენობით, რაც გეგმის 81,8 პროც. შეადგენს. უველაზე უფრო სამარცხვინოდ ჩამორჩება ჩოხატაურის, წალენჯიხის, მარტვილის და ოჩემჩირის რაიონები. მაგრამ არიან მოწინავენიც. მაგალითად, სენაკის რაიონს 5 ოქტომბრისათვის გეგმა მთლიანად ჰქონდა შესრულებული. წინ მიდის მახარაძისა და სამტრედიის რაიონები.

ჩაის რაიონების პარტიულ ორგანიზაციების წინაშე ამჟამად დგას ერთად საპასუხისმგებლო ამოცანა — დარაზმონ მთელი ძალები ჩაის საშემოდგომო სამუშაოთა ვადაზე შესასრულებლად. არ კმარა ის, რომ წელს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება ვადაზე ადრე შესრულდა. ასეთ წარმატებით უნდა დამთავრდეს ჩაის საშემოდგომო სამუშაოთა მთელი ციკლი.

ჩაის ზოგიერთ რაიონების პარტიულ ორგანიზაციებს ეტყობათ ერთგვარი თვითკმაყოფილება და „თავბრუდახვევა წარმატებისაგან", რაც ძირშივე უნდა იქნას აღკვეთილი.

დასავლეთ საქართველოს რაიკომებმა და პოლიტგანყოფილებებმა ახლავე უნდა დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი საშემოდგომო სამუშაოთა დასაჩქარებლად. უზრუნველყონ საზამთრო სამუშაოთა წარმატებით ჩატარება და პარტიის დირექტივების [illegible] შესრულება 1936 წელს თვითეულ ჰექტარიდან 1400 კილოგრამ მწვანე ფოთლის მიღების შესახებ.

საერთო დირექტივები და კალმის წრიპინი ოპერატიული ხელმძღვანელობის ნაცვლად

— „კოლმეურნეობებს მუშა-ხელი არ ყოფნის და ჩვენ რა უნდა ვქნათო", — ასე ამართლებენ თავს ჩოხატაურის რაიონის მუშაკები, როცა მათ შეეკითხებით ჩაის სამელიორაციო სამუშაოების შეუსრულებლობის მიზეზების შესახებ.

სინამდვილეში კი მუშა-ხელი არის, მხოლოდ არ ხწარმოებს მათი გეგმაშეწონილად გაყვანა სამუშაოებზე. სამელიორაციო სამუშაოთა ჩამორჩენილობის მიზეზიც სწორედ ეს არის.

თუ არ ამით, აბა რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ გეგმით გათვალისწინებულ 17 ათას კუბ. მ. არხის ნაცვლად გაყვანილია მხოლოდ 3 ათასი კბმ., ანუ გეგმის 18 პროც. რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად სასოფლო საბჭოს და კოლმეურნეობის ზოგიერთი ხელმძღვანელებიც თავიდანვე უყურადღებობას იჩენდენ და მელიორაციის ჩატარებას მეორეხარისხოვან საქმედ თვლიდენ.

განსაკუთრებული უყურადღებობით ჩაის პლანტაციების სამელიორაციო სამუშაოებისადმი თავი „ნასახელები" აქვს ბუკნარის სასოფლო საბჭოს, სადაც რაიონის გეგმის ორ მესამედზე მეტია შესასრულებელი. აქ გეგმით გათვალისწინებულ 13.550 კუბომეტრ სამუშაოდან შესრულებულია მხოლოდ 337 კუბომეტრი.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე თალაკვაძე უყურადღებოდ ეკიდება ჩაის სამელიორაციო სამუშაოებს და აბუჩად იგდებს სამუშაოს მწარმოებელ საინჟინერო-ტექნიკურ პერსონალს.

თალაკვაძე 4 ოქტომბერს შეპირდა ტექნიკოს ჩხაიძეს, რომ 5 ოქტომბრიდან სამუშაოზე ყოველდღიურად გამოიყვანდა 20 კაცს, მაგრამ ეს დაპირება არ შეუსრულებია. ტექნიკოსი ჩხაიძე 5 ოქტომბერს მთელი დღე უცდიდა სამუშაოზე მუშების მისვლას, მაგრამ არამც თუ მუშები, არამედ თვით თალაკვაძეც არ მისულა სამუშაო ადგილზე მდგომარეობის გასაცნობად.

სამუშაოზე გამოსულ მუშებს კოლმეურნეობის გამგეობა უყურადღებოდ სტოვებს ხოლმე, რის გამო დრო ლაზღანდარობაში მიდის. ამიტომაც გამომუშავების დაწესებული ნორმები არ სრულდება.

ასეთივე მდგომარეობაა გორაბერეჟოულის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებში. გეგმით ჩაის სამელიორაციო სამუშაო შესრულებული უნდა ყოფილიყო ათასი კუბომეტრი. შესრულებულია 4 კუბომეტრი. კოლმეურნეობას ამ სამუშაოზე ყოველდღიურად უნდა ყავდეს 15 კაცი, არ გამოჰყავს არც ერთი. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ი. ცინცაძე და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჩიგოგიძე გულგრილად ეკიდებიან ამ საქმეს.

რაიონის გარედან მიყვანილ მუშებს, რადგან ხელი არ შეუწყეს, ისინი ზოგან სტოვებენ სამუშაოს. რაიონის ხელმძღვანელობა კმაყოფილდება მარტო დადგენილებების წერით, საერთოთ დირექტივებით და არ იღებს გადამჭრელ ზომებს ჩაის სამელიორაციო სამუშაოთა ვადაზე შესრულებისათვის.

საჭიროა ოპერატიული ხელმძღვანელობა და არა განუწყვეტელი კალმის წრიპინი იმისათვის, რომ სამელიორაციო სამუშაოები შესრულდეს ყოველ მიზეზს გარეშე.

პრ. ცინცაძე.

თავს ნუ მოვიტყუებთ

(კოლმეურნის წერილი)

ჩაის ბუჩქი მაშინ გვაძლევს ბარაქიან მოსავალს, როდესაც მას კარგად უვლით. ეს გვავალებს მის თვითეულ ბუჩქს გავწიოთ ყოველდღიური მზრუნველობა. ამას მე იმიზა ვამბობ, რომ ჩვენს კოლექტივში (სოფ. ვანისქედი, მახარაძის რაიონი) ერთი ხანია თავი იჩინა მავნე შეხედულებამ: — „ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური დავალება შევასრულეთ, გათოხნაც ჩავატარეთ და აწი რაღა გვიშავსო".

ჩემი გამოცდილებიდან ვიცი, რომ ჩაის უხვი მოსავლის მიღებისათვის არ კმარა მარტო საგაზაფხულო სამუშაოების კარგად ჩატარება. ამასთანავე საჭიროა ჩაის საშემოდგომო საზამთრო სამუშაოთა რიგიანად შესრულება. ზოგიერთები ჩვენთან ამას ივიწყებენ.

ჩვენს კოლექტივში ჩაის საშემოდგომო სამუშაოები ასეთია: სადრენაჟო არხი უნდა გავიყვანოთ 1100 სიგრძითი მეტრი, ძველი არხები შესაკეთებელია 2500 მეტრის რაოდენობით, კომპოსტი უნდა დავამზადოთ ასი ტონა და სხვ.

ეს სამუშაოები ძალიან ჩამორჩენილია. ყველაზე უფრო გლახათ არის საქმე მეოთხე და მეექვსე ბრიგადებში. ჩემის აზრით, ამ ჩამორჩენის მიზეზი იმაშია, რომ ბრიგადებში ნაკლები ყურადღება ექცევა სამუშაოზე ქალების გამოყენებას და უცდიან სიმინდის ტეხვის დამთავრებას.

ჩვენ ჩაი გაშენებული გვაქვს ფერდ ადგილებზე. ამიტომ სადრენაჟო არხების დროზე გაყვანას ჩვენთან უველაზე უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ასე თუ არ მოვიქეცით, ბუჩქებს ღვარი წაადენს, მიწას გამოაცლის და ბუჩქი ვერ იხეირებს.

ნოემბერსა და დეკემბერში ჩვენ უნდა ვაწარმოოთ გადაბარვა, ბუჩქის გაკრეჭა და მეჩხერ ადგილებში ჩაის ხელახლა გამორგვა. ჩვენი ჩაის ბუჩქები რომ ნახოთ, ალაგ-ალაგ ცარიელ ადგილებს წააწყდებით. ეს იმიტომაა, რომ, ჩაის ახალგაზრდა ბუჩქს კარგად ვერ მოუარეს. ერთ და ორწლიანი ჩაის ბუჩქები წესიერად არ გაითოხნა და შეიკრიჭა.

მომავალში ამგვარი სამარცხვინო საქმე თავიდან უნდა ავიცილოთ. მით უმეტეს ახლა, ჩვენ ყველა საშუალება გვაქვს ამისათვის. უნდა ვეცადოთ, რომ ჩაის ნაკვეთები მთლიანად იყოს მოვლილი.

ჩვენმა კოლექტივმა წელს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება და გათოხნა კარგად შეასრულა. მაგრამ ამით დაკმაყოფილება თავის მოტყუებას ნიშნავს. ახლა საშემოდგომო სამუშაოები გვაქვს მოძალებული და ამის შესრულებაზე ისე მუყაითად უნდა ვიმუშაოთ ყველა კოლმეურნემ, როგორც გაზაფხულზე ვმუშაობდით.

მაგრამ აქ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ხელმძღვანელობის უნარს გამოიჩენს ჩვენი კოლმეურნეობის გამგეობა და პირადად კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ლ. ნაჭყებია.

პროკოფი თავბერიძე.

პარტიულ თემაზე

ინსტრუქტორები უნდა [illegible] პარტიული მუშაობის [illegible]

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

3 ოქტომბერს მახარაძის (ყოფ. ოზურგეთის) რაიონში შესდგა ლანჩხუთის, მახარაძის და ჩოხატაურის რაიკომების პასუხისმგებელ ინსტრუქტორების სარაიონთაშორისო თათბირი. თათბირზე მოსმენილ იქნა რაიკომების ინსტრუქტორთა მოხსენება მათი მუშაობის შესახებ.

ინსტრუქტორების მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ისინი ეუფლებიან პარტიული მუშაობის „ტექნიკას" და ნამდვილად კიდებენ ხელს პარტიული მუშაობის გარდაქმნის საკითხებს. თუ წინათ რაიკომი უმთავრეს შემთხვევაში ადგილებს უკავშირდებოდა ქაღალდებით და ცირკულარებით, ახლა ინსტრუქტორები უშუალოდ უკავშირდებიან პირველად ორგანიზაციებს ადგილებზე. უწევენ ცოცხალ ხელმძღვანელობას. ინსტრუქტორებმა თავიანთ მოხსენების დროს მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ დაიწყეს მუშაობა და როგორ ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევენ ისინი პირველად პარტორგანიზატორებს.

ინსტრუქტორების მუშაობის პირველი შედეგი ნათლად მოწმობს მათ საქმიან მუშაობას, მაგრამ მათ აქვთ მთელი რიგი, დეფექტებიც, რაც ფართოდ გამომჟღავნდა თათბირზე.

ჩოხატაურის რაიონში ინსტრუქტორები თავიდანვე არ იყვნენ განაწილებული საწარმოო ტერიტორიალური პრინციპის მიხედვით. მეორე მთავარი შეცდომა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩოხატაურის რაიონში, ეს არის საკოლმეურნეო ბრიგადებში პარტჯგუფების გაუქმება. ეს შეცდომა გამოსწორებულ იქნა საქ. კ.პ. (ბ) ცკას მითითების შემდეგ. მაგრამ დაშვებული შეცდომები ახლაც დიდ გავლენას ახდენს პარტმუშაობის ნამდვილ გარდაქმნაზე.

თათბირზე გამოირკვა, რომ მახარაძის რაიონში ადგილი აქვს პარტიის წესდების და მე-17 ყრილობის გადაწყვეტილების უხეშ დამახინჯებას თანამგრძნობთა ჯგუფების შექმნის საქმეში. თანამგრძნობთა ჯგუფი შეუქმნიათ ისეთ კოლმეურნეობაში, სადაც არ არსებობს პირველადი პარტორგანიზაცია, მაგ. ბზიანის კოლმეურნეობაში.

არც ლანჩხუთის რაიონის ინსტრუქტორებს მოუკიდიათ ხელი მთელი სერიოზულობით პირველად პარტორგანიზაციებთან თანამგრძნობთა ჯგუფების ჩამოყალიბებისათვის.

ზოგიერთი ინსტრუქტორები თავიანთ მუშაობის ყოველდღიურ საბრძოლო ამოცანად არ ისახავენ თვითეული კომუნისტის პოლიტიკურ და საწარმოო აქტივობის შესწავლას. არ იციან, კომუნისტი კითხულობს თუ არა გაზეთებს, ჟურნალებს და სხვ.

მახარაძის რაიკომის ინსტრუქტორმა ამხ. ქინქლაძემ შეკითხვაზე, თუ როგორ მოახერხა მან ცალკე კომუნისტების და კერძოდ პარტორგანიზატორების გაცნობა-შესწავლა, უპასუხა: „ჩემს ზონაში შემავალ კომუნისტებს და პარტორგანიზატორებს მე წინათაც ვიცნობდი და რაღა საჭიროა ახლა მათი შესწავლაო". არ შეიძლება დღეს იმ საზომით შეფასდეს კომუნისტი, თუ როგორ იბრძოდა ის რამდენიმე წლის წინათ, რადგან შეიცვალა ვითარება და ახლა თვითეული კომუნისტის როლი გაიზარდა, მას ახლა მეტ მოთხოვნილებას უყენებს პარტია.

ჩოხატაურის რაიკომის ინსტრუქტორები ხშირად იქვე რაიკომის მოვალეობას ასრულებენ. მათ თავის მოხსენების დროს განაცხადეს: „რაიკომს მიმაგრებული ყავს სოფსაბჭოებსა და კოლმეურნეობებზე რაიონის აქტივი—პასუხისმგებელი ამხანაგები. ჩვენ ხშირად ვიწვევთ მათ თათბირებს და ვეუბნებით, როგორ უნდა იმუშაონ.; ჩვენგან ღებულობენ დირექტივებს და სხვ." ამ შემთხვევაში ინსტრუქტორები გამოდიან ქვერაიკომის როლში, ხოლო კოლმეურნეობებზე მიმაგრებული ამხანაგები ასრულებენ ქვეინსტრუქტორების მოვალეობას. ეს იწვევს ინსტრუქტორის მოწყვეტას ძირეულ პარტორგანიზაციებისაგან და ინსტრუქტორის გაუპიროვნებას.

ასეთი წესით მუშაობა ყოვლად დაუშვებელია თათბირზე აღინიშნა ის გარემოება, რომ ინსტრუქტორებს იყენებენ არა დანიშნულებისამებრ და მათ რამოდენიმე კვირით წყვეტენ ხოლმე ძირითად სამუშაოდან. მაგ. მახარაძის რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. მ. ქეიშვილი ერთი თვით ყოფილა მიმაგრებული ერთ კოლმეურნეობაზე. ლანჩხუთის რაიკომის ინსტრუქტორები ამხ. ჩხაიძე და ფაჩაძე 3 კვირით იყვნენ მიმაგრებული აცანის და მამათის კოლმეურნეობებზე.

თათბირზე გამოირკვა, რომ ინსტრუქტორებს არ აქვთ თავიანთი „მოძრაობის გრაფიკი". „გრაფიკის უქონლობის გამო ხშირია შემთხვევა, როდესაც რომელიმე პირველად პარტორგანიზაციას ესაჭიროება ინსტრუქტორის გამოძახება, მისი დახმარება, მაგრამ მან არ იცის, სად იმყოფება იმ დღეს ინსტრუქტორი.

„მოძრაობის გრაფიკის" აუცილებლობა პრაქტიკამ დაამტკიცა. ინსტრუქტორებმა თავიანთ მოხსენებაში აღნიშნეს, რომ რაიონებში არ ზრუნავენ მათ კულტურულ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე. არ სრულდება საქ. კ.პ. (ბ) ცკას დირექტივა ინსტრუქტორთა მატერიალური კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ.

ლანჩხუთის რაიკომის ინსტრუქტორებს არ მიუღიათ არავითარი მომარაგება გარდა პურისა, სურსათით და სამრეწველო საქონლით მომარაგების საქმეში დაუშვებელ უყურადღებობას იჩენენ რაიონის მომარაგების ინსტრუქტორები.

ინსტრუქტორებისათვის არ არის გამოყოფილი განსაზღვრული დღეები, რომ მათ შეეძლოთ წიგნების კითხვა და ხელი მოკიდონ თვით-განვითარებით მუშაობას. ეს კი აუცილებელია.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქ. კ.პ. (ბ) ცკას წარმომადგენელმა ამხ. რ. მელაძემ.

ამხ. მელაძემ სამართლიანად გააკრიტიკა ინსტრუქტორების მუშაობის ზოგიერთი დეფექტები და მიუთითა მათ თუ, როგორ უნდა იმუშაონ და რა საკითხებს უნდა მიაქციონ მთავარი ყურადღება. განსაკუთრებით შეჩერდა დადგენილებათა შესრულების შემოწმების საკითხზე, რომ ინსტრუქტორები უნდა ამოწმებდნენ არა მარტო მათ მიერ დავალებების შესრულებას, არამედ ისინი სისტემატიურად უნდა ადევნებდნენ თვალყურს, როგორ სრულდება პარტიისა და მთავრობის მნიშვნელოვანი დადგენილებანი და დირექტივები.

შ. ქარსელაძე



მეცადინეობა მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე ტრამვაის პარტკაბინეტში.

აბელ ენუქიძე

აქტიურად ვემზადოთ საბჭოების არჩევნებისათვის

უახლოეს თვეებში (ნოემბერ-დეკემბერი) ჩვენ მთელ საბჭ. კავშირში უნდა ჩავატაროთ სასოფლო და საქალაქო საბჭოების, საბჭოების ყრილობათა დელეგატების და საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნები.

საბჭოების არჩევნების მომავალი კამპანია ისე უნდა მოვაწყოთ და ჩავატაროთ, რომ ყველა საბჭო ნამდვილად გახდეს პარტიის გენერალური ხაზის გამტარებელი და ქალაქის და სოფლის მთელი სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ხელმძღვანელი. ეს იმას ნიშნავს, რომ საქალაქო საბჭო ქალაქად, ხოლო სასოფლო საბჭო სოფლად უნდა გახდენ მასების ხელმძღვანელები სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმათა შესრულებისათვის ბრძოლაში, განსაკუთრებით საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ სასოფლო საბჭოებმა გადაჭრით იბრუნონ პირი საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების ამოცანებისაკენ. ჩვენ უნდა მივაღწიოთ არა მარტო იმას, რომ ამომრჩეველთა მრავალმილიონიანი მასები უკლებლივ გამოცხადდნენ საბჭოების დეპუტატთა არჩევნებზე, არამედ იმასაც, რომ ამ მასებმა [illegible] ნათლად გაითვალისწინონ, ვინ უნდა აირჩიონ საბჭოებში, რა მოთხოვნები უნდა წაუყენონ ასარჩევ დეპუტატებს და საბჭოებს მთლიანად. ხოლო ყველა ამომრჩეველმა რომ ამოცანები ნათლად წარმოიდგინოს, საჭიროა ადგილობრივ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩავატაროთ, ამომრჩევლებს დაწვრილებით უნდა მოვუთხროთ, თუ რას მიაღწია საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენი პარტიის და დიდი ბელადის, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. ამომრჩევლებს დაწვრილებით უნდა გავაცნოთ ის მშენებლობა, რომელიც მოცემულ ქალაქსა და სოფელში წარმოებს. საანგარიშო კრებებზე, რომლებიც საარჩევნო კრებამდე რამდენიმე დღით (5—10) ადრე უნდა ჩატარდეს, ამომრჩევლებს გასაგებად და ნათლად უნდა გავაცნოთ ყველა ღონისძიება სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის დარგში. საანგარიშო კრებებზე ამომრჩევლები უნდა გაეცნონ არა მარტო ამა თუ იმ დეპუტატის და საბჭოს მუშაობას, არამედ მთელ სოციალისტურ მშენებლობასაც.

ჩვენს ამომრჩევლებს უნდა მოვუთხროთ აგრეთვე, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც კრიზისი გრძელდება და წინააღმდეგობანი მწვავდება, სულ უფრო და უფრო იზრდება ახალი იმპერიალისტური ომის მუქარა, ამასთან პირველ რიგში მუქარა ომისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომლის ხარჯზეც იმპერიალისტები ცდილობენ თავის წინააღმდეგობათა გადაჭრას.

საბჭოების წინანდელი საკავშირო არჩევნებიდან ჩვენი მრეწველობა ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა. ამან საშუალება მოგვცა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი უახლესი მანქანებით და საწარმოო იარაღებით აღგვეჭურვა. ეს მიღწევები საბჭოებმა არა თუ უნდა განამტკიცონ, არამედ კიდევ ახალ დიდ წარმატებებსაც უნდა მიაღწიონ.

ამჟამად ძირითადი ამოცანაა დავეუფლოთ წარმოების ტექნიკას და ავითვისოთ როგორც უკვე აგებული სამრეწველო საწარმონი, ისე ის საწარმონი, რომელთა მშენებლობაც მთავრდება (განსაკუთრებით შავი და ფერადი მეტალურგიის და ქვანახშირის მრეწველობის დარგში); ავწიოთ ტრანსპორტი მთელი სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დონემდე; გავზარდოთ მთელი სახალხო მეურნეობა; გავადიდოთ მსუბუქი და საკვები ინდუსტრიის პროდუქციის გამოშვება (ამასთან კარგი ხარისხის და ასორტიმენტის მხრივ მრავალფეროვანი პროდუქციის გამოშვება) და, ბოლოს, ყოველმხრივ განვავითაროთ კულტურული საბჭოთა ვაჭრობა.

სოფლად, სადაც ღარიბ-საშუალო გლეხთა მასების უმრავლესობა უკვე შევიდა კოლმეურნეობებში და განვითარების სოციალისტურ გზას მტკიცედ დაადგა, სადაც განმტკიცების პროცესშია საბჭოთა მეურნეობანი, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და სამანქანო-სატრაქტორო სახელოსნონი ათასობით მოიპოვებიან, ამჟამად ძირითადი ამოცანაა კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება; დაუზოგავი ბრძოლის გაჩაღება კლასობრივი მტრის ნამსხვრევების ცდებთან შეპარვით არიდდარიონ და შეასუსტონ მათი მუშაობა; სასოფლო სამეურნეო წარმოების ჩამორჩენილ დარგთა წინ წაწევა მოწინავეთა დონემდე, ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანაა მეცხოველეობის აღდგენა. მრავალმილიონიანი მშრომელი გლეხობა საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ ნამდვილად შეძლებული და კულტურული ცხოვრების მისაღწევად აუცილებელი პირობაა კოლექტივიზაცია, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცება. ეს საბჭოებისაგან მოითხოვს კიდევ უფრო გადაჭრით მობრუნებას კოლექტივიზაციისა და კოლმეურნეობისაკენ. საბჭოს წევრად ასარჩევი ყოველი კანდიდატის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ კოლმეურნეობანი ყოველმხრივ განამტკიცოს. და სასოფლო საბჭოს ის წევრი, რომელიც კოლმეურნეობის განმტკიცებისათვის არ იბრძვის, კოლმეურნეობაში ერთპიროვნულ მეურნეებს, ღარიბ და საშუალო გლეხებს, კოლმეურნეობებში არ აბამს, კოლმეურნეობათა მოწინააღმდეგე კულაკურ ელემენტებს არ იბრძვის,—საბჭოს ასეთი წევრი არ არის პარტიის გენერალური ხაზის გამტარებელი, იგი მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისათვის უცხო ელემენტების გავლენის ქვეშ იმყოფება.

უნდა აღინიშნოს ხაზგასმით, რომ საბჭოებში უნდა ავირჩიოთ ის ერთპიროვნული მეურნენიც ღარიბთა და საშუალო გლეხთა წრიდან, რომლებიც კოლმეურნეობებთან უფრო ახლო დგანან, და მათგან განსაკუთრებით ისეთები, რომელნიც ეხმარებიან საბჭოებს კოლმეურნეობათა განმტკიცებაში.

მომავალ საარჩევნო კამპანიაში ჩვენ განსაკუთრებით ყურადღება უნდა მივაქციოთ მშრომელ ქალთა და კომკავშირელთა რიცხვის გადიდებას საბჭოებში.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს ის, რომ მშრომელი ქალები სასოფლო საბჭოების წევრთა შორის შეადგენენ 21 პროცენტს, საქალაქო საბჭოების წევრთა შორის 26 პროცენტს, ხოლო აღმასკომების წევრთა შორის—კიდევ უფრო ნაკლებს. არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს ისიც, რომ კომკავშირელები სასოფლო საბჭოების წევრთა შორის ძლივს შეადგენენ 6 პროცენტზე ცოტა მეტს, ხოლო საქალაქო საბჭოების წევრთა შორის—7 პროცენტს და რაიონულ აღმასკომების წევრთა შორის—5 პროცენტს. ეს ნაკლი ახლანდელ საარჩევნო კამპანიაში აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ.

საარჩევნო ინსტრუქციაში განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ ყველა საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში უზრუნველყოფილ იქნას ქალთა მონაწილეობა. ვინაიდან საარჩევნო კომისიებს საბჭოების არჩევნების ხელმძღვანელობის საქმეში დიდი როლი ეკუთვნით, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა საარჩევნო კომისიებში გაგზავნონ უფრო ავტორიტეტული და ამ სამუშაოს მცოდნე მუშაკები. საანგარიშო და საარჩევნო კრებების უკეთ მომზადების მიზნით, აუცილებლად საჭიროა საარჩევნო კომისიები ახლავე მოეწყოს.

ოქტომბერში დიდი საორგანიზაციო მოსამზადებელი მუშაობა უნდა ჩატარდეს, უნდა შედგენილ იქნას ამომრჩეველთა და საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიები, დაისახოს საარჩევნო უბნები, დამზადდეს მოსაწვევი უწყებები და საარჩევნო-საგიტაციო ლიტერატურა, მომზადებულ იქნან საარჩევნო კრებათა ხელმძღვანელები (თავმჯდომარენი), რომელთაც კი ამაზე საარჩევნო კომისიების მხრივ რწმუნება ექნებათ. მთელი ეს მუშაობა საარჩევნო კომისიებმა, რა თქმა უნდა, უნდა ჩაატარონ აღმასკომების და საქალაქო საბჭოების ორგანყოფილებათა დახმარებით, სადაც თავმოყრილია ყველა საჭირო ცნობა ამომრჩეველთა და საარჩევნო უბანთა შესახებ.

ამავე ხნის განმავლობაში ადგილობრივმა ორგანიზაციებმა გულდასმით უნდა დაამუშაონ პროექტები ამომრჩეველთა დანაწესებისა, რომლებიც ასარჩევ დეპუტატებს და საბჭოებს მთლიანად ეძლევათ. ჩვენი ახლანდელი ამომრჩეველი ძალიან გაიზარდა. მას სურს მონაწილეობა მიიღოს არა მარტო საბჭოების დეპუტატთა არჩევაში, მას სურს აგრეთვე უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა სოციალისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტაში, სურს მონაწილეობა მიიღოს სახალხო-სამეურნეო განვითარების გეგმათა განხილვასა და დამტკიცებაში, უეჭველია, ამ მონაწილეობის საუკეთესო ფორმაა დანაწესი, რომელსაც ამომრჩეველნი განიხილავენ და იღებენ, ამიტომ დანაწესები იმნაირად უნდა შესდგეს, რომ ისინი შეიცავდენ მოცემული საბჭოს სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის [illegible] უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რათა ქალაქში, რაიონში, ოლქში მიღებული დანაწესებისაგან შესდგეს სოციალისტური მშენებლობის გეგმა. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაწესებში წამოყენებული ყველა წინადადება და ღონისძიება უნდა უზრუნველყოთ ფულადი სახსრებით და მატერიალური რესურსებით, ვინაიდან ცუდი იქნება ის დანაწესი, რომლის შესრულებას ვერ უზრუნველყოფთ მატერიალური სახსრებით.

მთელ მოსამზადებელ მუშაობაში იქიდან უნდა გამოვიდეთ, რომ ახლანდელი საარჩევნო კამპანია უფრო მოკლე ვადებში უნდა ჩატარდეს, ვიდრე წინანდელი. სასოფლო საბჭოების არჩევნები უნდა ჩატარდეს, ვიდრე წინანდელი. სასოფლო 1-დან 20 ნოემბრამდე; საქალაქო საბჭოების არჩევნები და საბჭოების რაიონული ყრილობები უნდა ჩატარდენ 1934 წლის 20 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე. ამგვარად, წელს ჩვენ 40 დღის განმავლობაში უნდა ჩავატაროთ ისეთივე მუშაობა, რომელსაც წინანდელ არჩევნებში 2 თვეს ვანდომებდით. ამასთან მხედველობაშია მისაღები ამომრჩეველთა კონტინგენტის გადიდება: 95 მილიონამდე 1934 წელს ნაცვლად 84 მილიონი კაცისა 1930 წელს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სოფლად უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს და სოფლელი ამომრჩევლების ორგანიზებულობის ზრდას კოლექტივიზაციასა, საბჭოთა მეურნეობების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურთა და სამანქანო-სატრაქტორო სახელოსნოთა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში პოლიტგანყოფილებათა შექმნასთან დაკავშირებით, — თუ ყველაფერ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ საბჭოების არჩევნების ამ მოკლე ვადებში წარმატებით ჩატარება ძნელი არ იქნება. ეს არ ნიშნავს, რომ არჩევნები შეიძლება ადვილად ჩატარდეს თვითდინებით. არა, საბჭოების არჩევნების ჩატარება უნდა მოვაწყოთ, საარჩევნო კამპანიას დაუღალავად უნდა ვუხელმძღვანელოთ საბჭოების არჩევნების და აღმასრულებელ კომიტეტთა არჩევნების დამთავრებამდე.

წინანდელი საარჩევნო კამპანიის დროს მთელ რიგ რაიონსა და ზოგიერთ ქალაქში დარღვეული იყო საბჭოთა კანონმდებლობა საბჭოებში წარმომადგენლობის ნორმების შესახებ. იყო შემთხვევები, როცა, მაგალითად, ერთდაიმავე საქალაქო საბჭოში ან სასოფლო საბჭოში ამომრჩეველი მოსამსახურენი ირჩევდენ ერთ დეპუტატს ამომრჩეველთა მეტი რიცხვისაგან, ხოლო დანარჩენი ირჩევდნენ ნაკლებისაგან. აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პრაქტიკა დაუშვებელია, რადგან საბჭოთა კონსტიტუცია ითვალისწინებს ერთნაირ ნორმებს ამომრჩეველთა ყველა ფენისათვის ერთ დაიმავე საბჭოში დეპუტატების ასარჩევად. და მხოლოდ საბჭოების ყრილობებში დელეგატების არჩევნებისათვის კონსტიტუცია ითვალისწინებს სხვადასხვა წარმომადგენლობას: ქალაქებისაგან 1 დელეგატს 25 ამომრჩეველზე და 1 დელეგატს სოფლის 125 მცხოვრებზე, მათ შორის 18 წლის ასაკამდეც. ახლანდელ საარჩევნო კამპანიაში მტკიცედ უნდა დავიცვათ კონსტიტუციის ნორმები და არავითარ შემთხვევაში არ დავუშვათ მისი დარღვევა. საბჭოთა საარჩევნო კანონმდებლობის სასტიკად დაცვა, უეჭველია, ხელს შეუწყობს სახელმწიფო დისციპლინის და რევოლუციური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას.

საბჭოების ახლანდელი არჩევნების საარჩევნო ინსტრუქცია ბევრად არ იქნება განსხვავებული დღემდე მოქმედი ინსტრუქციისაგან. მიუხედავად ამისა, ადგილობრივმა მუშაკებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ინსტრუქციაში შეტანილ ცვლილებათა და შესწორებათა შესწავლას. ისინი უმთავრესად ეხებიან იმ მუხლებს, რომლებითაც კულაკურ ელემენტებს საარჩევნო უფლება ერთმევათ. საქმე ის არის, რომ გასული 4 წლის განმავლობაში კულაკის ფიზიონომია ძირფესვიანად შეიცვალა. მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობა, როგორც კლასი, ძირითადად ლიკვიდირებულია, და ახლა არ არიან ან თითქმის არ არიან ისეთი კულაკები, რომელთაც ჰქონდეთ დიდი ქონებრივი ობიექტები, როგორიცაა წისქვილები, ხელსაფქვავები, სალეწი მანქანები და სხ., რომელთა საშუალებით ისინი ადგილობრივი მოსახლეობის ექსპლოატაციას ეწეოდენ. კულაკის ექსპლოატატორული საქმიანობის ძირითად ფორმას ახლა წარმოადგენს სპეკულაცია, უმთავრესად ფარული სახით. ამასთან შეფარდებით საარჩევნო ინსტრუქციაში სათანადო ცვლილებანი შეგვაქვს. საარჩევნო ინსტრუქციის ყველა ეს ახალი მომენტი გულდასმით უნდა შევისწავლოთ და მტკიცედ დავიცვათ.

საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს შორის დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ამომრჩეველთა წინადადებანი იმის შესახებ, რომ მათ სურთ საბჭოების მე-7 საკავშირო ყრილობა ამათუიმ საწარმოო დავალებათა შესრულებით აღინიშნონ. ასეთი წინადადებანი უკვე შემოდის: რკინიგზის ტრანსპორტის, საავიაციო მრეწველობის, სასოფლო საბჭოების მეცხოველეობის სექციების, მძიმე მრეწველობის ქარხნების და სხვ. მუშაკები უკვე ღებულობენ გადაწყვეტილებებს თავის საწარმოო გეგმათა წარმატებით შესრულებაზე, რათა ყრილობას თავისი წარმატებანი უპატაკონ. უეჭველია, რომ უახლოეს დროშივე ასეთ წინადადებათა რიცხვი გამრავლდება. საბჭოების და აღმასკომების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ამომრჩეველთა ამ ინიციატივას ხელი ჩასჭიდონ, მაქსიმალურად გააფართოვონ იგი და მიიღონ ყველა ზომა, რომ მუშათა კოლექტივების საუკეთესო მიღწევები არა თუ აღინიშნონ, არამედ კიდეც განამტკიცონ.

უდავოა, რომ საარჩევნო კამპანიაში როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი პრესა ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა და შემდეგშიაც შეასრულებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის დიდი როლი, რომელიც საარჩევნო კამპანიაში სამრეწველო საწარმოთა და ტრანსპორტის ძირეულმა აგიტატორმა უნდა შეასრულოს. უკვე ახლა მან თავის ბრიგადაში, ჯგუფში, მუშათა საერთო საცხოვრებელსა და ბარაკში, მუშების ოჯახებს შორის უნდა ჩაატაროს მთელი რიგი საუბრები, რომლებშიც მათ უნდა განუმარტოს მომავალი არჩევნების მნიშვნელობა და გააცნოს საარჩევნო ინსტრუქცია. ამასთან ერთად, თავის საუბრებში აგიტატორმა ფართოდ უნდა გამოიყენოს ადგილობრივი მასალა მოცემულ საბჭოს და მოცემულ საწარმოს სადეპუტატო ჯგუფის მუშაობის შესახებ. მთელი თავისი ახსნა-განმარტებითი მუშაობა აგიტატორმა უნდა შეათავსოს ამომრჩეველთა მასების დარაზმვასთან იმ მიზნით, რომ მათ უკლებლივ და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში. აგიტატორი უნდა იყოს საბჭოების მე-7 საკავშირო ყრილობის სახელობის მასობრივი საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ლაშქრობის სულისჩამდგმელი, იგი უნდა იყოს იმათ პირველ რიგებში, ვინც აწყობს ყრილობის ბოლშევიკურ შეხვედრას თავის საწარმოს ახალი საწარმოო გამარჯვებებით.

გარდატეხა არის, მაგრამ არა საკმარისი

(სენაკის რაიონი, საკ. კორესპონდენტისაგან)

გაზ. „კომუნისტმა“ ივლისის დასაწყისში აღნიშნა სენაკის რაიკოოპკავშირის მუშაობაში სამარცხვინო ჩამორჩენა.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ საქ. კ. პ. (ბ) სენაკის რაიკომმა მიიღო მთელი რიგი ზომები რაიკოოპკავშირის მუშაობის გარდასაქმნელად, როგორც რაიკოოპკავშირი, ისე ძირეული ქსელი გაამაგრა შემოწმებული მუშაკებით და გააძლიერა ოპერატიული ხელმძღვანელობა. ამის შედეგად როგორც კოოპკავშირს, ისე მის ქსელს ნაწილობრივი გამოცოცხლება დაეტყო.

სარაიონო მაღაზიამ მე-2 კვარტალში 150.000 მან. ნაცვლად 159.200 მან. საქონელი გაასაღა და გეგმა 106 პროც. შეასრულა.

აგვისტოს საქონელბრუნვის გეგმა 49.600 მან. ნაცვლად 53.400 მანეთით შეასრულა.

რაიკოოპკავშირის მიერ გახსნილი რაიკულტმაღაზია ნამდვილად კულტურულ ვაჭრობის ნიმუშად გადაიქცა. მაღაზიის ვიტრინიდან გამვლელს იზიდავს სუფთად და ლამაზად დაწყობილი საქონლის მრავალფეროვანი და საჭირო ასორტიმენტი. კულტმაღაზია სავაჭრო საფინანსო გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს; მეორე კვარტალის გეგმა შესრულებული აქვს 186 პროც. მე-3 კვარტალის სავაჭრო-საფინანსო გეგმა სექტემბრის 25-ისათვის უკვე 142,3 პროცენტით არის შესრულებული (30.900 მანეთის ნაცვლად საქონელბრუნვა 44.200 მანეთამდე აიყვანა).

გეგმების გადაჭარბებით შესრულების და ვაჭრობის კულტურული მეთოდის დანერგვისათვის კულტმაღაზია ცეკავშირმა დააჯილდოვა რესპუბლიკაში პირველი პრემიით.

გააუმჯობესეს მუშაობა ზოგიერთი სოფლის კოოპერატივებმაც. მაგ. ნოქალაქევის კოოპერატივმა მე-3 კვარტალის საქონელბრუნვის გეგმა 20 სექტემბრისათვის 90 პროც. შეასრულა, სავაჭრო წერტები მოამარაგა კარგი ასორტიმენტის საქონლით. ასეთივე მდგომარეობაშია ძველი სენაკის სამომხმარებლო კოოპერატივი.

მაგრამ მთელი რიგი სასოფლო კოოპერატივები ჯერ ისევ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან. მაგალითად, ფოცხოს კოოპერატივმა საქონელბრუნვის გეგმა ივლისში 40 პროც. შეასრულა, ზანის სას. კოოპერატივმა 30 პროც., ზემო-ჭალადიდმა 30 პროც., ხორშმა — 11 პროც.

ეს ფაქტები აშკარად ადასტურებს იმას, რომ სენაკის რაიკოოპკავშირმა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ გარდაქმნა მუშაობა რაიკომის უკანასკნელ დადგენილების საფუძველზე. ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკები, რაიკოოპკავშირიდან ძირეულ ქსელის ხელმძღვანელობის განმტკიცების ნაცვლად ძველებურად სტკეპნიან სენაკის ქუჩებს.

სოფლის კოოპერატივების ნაწილის საქონელბრუნვის გეგმების ჩაშლამ გამოიწვია რაიკოოპკავშირის ჩამორჩენა, რაც გამოიხატა ივლისის საქონელბრუნვის გეგმის მხოლოდ 64 პროცენტით შესრულებაში.

მიღწეული წარმატებები სრულიად არ არის საკმაო. მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. სენაკის რაიკოოპკავშირის მუშაკებმა მთლიანად უნდა გარდაქმნან მუშაობა.

სენაკის რაიკოოპკავშირსა და მის ძირეულ ქსელს ისევ სჭირდება დახმარება, და ეს დახმარება რეგულური უნდა იყოს.

ბ. ურანეიშვილი.

საქ. ცაკის დადგენილებანი

საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების მორიგი არჩევნების ჩატარებაზე გამოცემული დადგენილების 1, 2 და 3 მუხლების შეცვლის შესახებ

თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წ. სექტემბრის 27-ის დადგენილებისა „საბჭოებისა, მოკავშირე რესპუბლიკებში საბჭოთა ყრილობებისა და სსრ კავშირის საბჭოთა მე-7 ყრილობის არჩევნების შესახებ („იზვესტია“ 1934 წ. სექტემბრის 30-სა № 230) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1-ლი, მე-2, და მე-3 მუხლები სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წ. აგვისტოს 26-ის დადგენილებისა საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების მორიგი არჩევნების შესახებ („კომუნისტი“ 1934 წ. აგვისტოს 28-სა № 199) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„1. საბჭოების საანგარიშო კამპანია ჩატარებულ იქნეს 1934 წ. ოქტომბრის 15-დან ნოემბრის 1-მდე“.

„2. სასოფლო საბჭოების არჩევნები ჩატარდეს 1934 წ. ნოემბრის 1-დან ნოემბრის 20-დე, ხოლო საქალაქო საბჭოების არჩევნები 1934 წ. ნოემბრის 20-დან დეკემბრის 10-დე.

შენიშვნა: საქართველოს მთიან ადგილებში (ყაზბეგის რაიონი, არხოტის, შატილის, ბაცალიგოს, ბარისახოს, უკანაფშავის და გუდამაყარის სას. საბჭოები დუშეთის რაიონისა, მთათუშეთის სას. საბჭო თელავის რაიონისა, ჯავის რაიონი და ქარჩოხის, მონასტრის, საფერშეთის, ეძურის და ქურთის სას. საბჭოები — ლენინგორის რაიონისა (სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი). ზემო-სვანეთის და ქვემო სვანეთის რაიონები, ხულოს რაიონი (აჭარისტანის ასსრ), აჟარისა და ლათის სას საბჭოები სოხუმის რაიონისა (აფხაზეთის ასსრ-ის), ღების, ჭიორის და გლოლის სას. საბჭოები (ონის რაიონისა), — სასოფლო საბჭოების არჩევნები უნდა მოხდეს 1934 წ. ოქტომბრის 15-დან ნოემბრის 1-დე“.

„3. სარაიონო საბჭოთა ყრილობები მოწვეულ იქნეს 1934 წ. ნოემბრის 20-დან დეკემბრის 10-დე, ხოლო აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის საბჭოთა ყრილობები მოწვეულ იქნეს 1934 წ. დეკემბრის 15-დან დეკემბრის 25-დე“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მდივანი
თ. ჟღენტი.
1934 წ. ოქტომბრის 11.
ტფილისი.

★

მარტვილისა და ჩხოროწყუს სარაიონო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების დამტკიცების შესახებ

შესაცვლელად სრულიად საქართველოს ცაკის 1934 წ. ოქტომბრის 7-ის დადგენილებისა (გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ“-ში 3 ოქტომბერს 1934 წ. № 225) მარტვილის სარაიონო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეთ დამტკიცდეს ამხ. უდირია, ხოლო ჩხოროწყუს სარაიონო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცდეს ამხ. ა. ჯიქია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
თ. ჟღენტი.
1934 წ. ოქტომბ. 11.
ტფილისი

ჩამოდექი ურემო, „მაშინა“ მობრძანდება!

(ზესტაფონი, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ამბობენ კუთხის კულტურულობას კარგი გზები განსაზღვრავენო. უდაოა, ჭეშმარიტებაა. მაგრამ ცოდნით იცნობდენ ზესტაფონელები, ეს თქმა რომ მათზე გავრცელებია ასი პროცენტით.

რა ჰქნას გლეხებმა, თუ რაიონის აყალომიწას არა მარტო ვენახი უყვარს, არამედ ლაფიც, ტალახიც..

დადგებოდა შემოდგომა, ცოლცა-ცოლიკოურში მზის თვალი ჩადგებოდა, საწნახელ-ქვევრები დაირეცხებოდა, ორღობეებში „დაკაპანებული“ ურმები აჭრიალდებოდენ და ზესტაფონის რაიონის გზებზე დგებოდა მუხლებამდე ტალახი.

ზამთარში არა თუ ურმით და ცხენით, ფეხით გავლაც კი შეუძლებელი იყო, გზები იკეტებოდა ერთიავად...

ეს არ არის შორეული წარსულის საქმე. ასე იყო 1933 წელშიც. ასე იყო წლევანდლამდე. რაიონის მოსახლეობა შეწუხებული იყო უგზობით. კუთხეს დიდი ზარალი ჰქონდა.

კოლმეურნეობებსა და ცალკეულ მეურნეებს მოტეხილი სიმინდი ნაყანევშივე რჩებოდათ შინიდან 5—6 კილომეტრის დაშორებით. მოჭრილ ჩალას წვიმა ურწყავდა და ხეზე რჩებოდა მომავალ გაზაფხულამდე. ახალი ინდუსტრიალური ზესტაფონი საშენ მასალას მოითხოვდა და იგი ტევრის აგურ-კრამიტის ქარხანაში იყო წასაღებად გამზადებული.

სხვა გამოსავალი არ არის — გზის საკითხი უნდა დასმულიყო მთელი თავისი სიგრძე-სიგანით.

★

— ზესტაფონის რაიონის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა საგზაო მშენებლობაში, 1934 წელს განსაზღვრულია 260 ათასი მანეთით. იბრძოლეთ აღნიშნულის შესასრულებლად—გაიცა ცენტრის განკარგულება.

რაიაღმასკომმა გეგმა მიიღო მარტში. მყისვე დააზუსტა და იგი ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით ცალკეულ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს საკუთარი გეგმები შეუდგინა.

ჩვენ ვკისრულობთ ცენტრის გეგმის გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად შესრულებას—სთქვეს ზესტაფონის რაიონის ბოლშევიკებმა ჭიათურის, ჩხარის, და ხარაგოულის ბოლშევიკები გამოიწვიეს სოციშეჯიბრებაში.

აპრილშივე მოაწყვეს ათისთავების გადასამზადებელი 15 დღიანი კურსები. დღეში სამ საათს ამეცადინებდენ, ასწავლიდენ გზის მშენებლობის ტექნიკას და ბეგარის გამოყენების ორგანიზაციას. კურსები გაიარა 13-მა კაცმა. ეს ის ხალხია, რომელიც ახლა საგზაო მშენებლობის ძირითად მუშაკად ითვლება და ცალკეული გზების მშენებლობას ხელმძღვანელობს.

დაიწყეს მუშაობა...

სოფსაბჭოებმაც გაშალეს სოცშეჯიბრება. დამთავრდა თესვის კამპანია და მთელი ხალხი გზებს შეესია. გამოიყო ნორმები ცალკეულ მეურნეობებზე, ცალკე პირებზე.

რაიაღმასკომმა შექმნა საგზაო შტაბი ამხ. შარიქაძის თავმჯდომარეობით. შტაბმა ივნისში ერთთვიური გამოაცხადა. ერთთვიურის მიზანი იყო წლიური სამუშაოს განახევრება.

მარგვლამ გზებზე მუშაობა შეაჩერა დროებით.

ივლისის 15-ს ისევ მასობრივი გამოსვლები ნიჩბებით, თოხებით, წერაქვებით და ხარ-ურმებით. იქედან მოკიდებული დღემდე მუშაობა არ შეწყვეტილა. ქუდზე თითო კაცი—ასეთია ლოზუნგი, რომელიც სრულდება. ეს კი არა და მანდილზე თითო ქალი—აი, რას მიაღწიეს ზესტაფონელებმა..

ერთი კაცისათვის სავალდებულოა ათი დღის უსასყიდლო მუშაობა გზაზე. ბევრია ისეთი გლეხი, რომელმაც 15, 20, 25 დღე იმუშავა ყოველგვარი სასყიდლის გარეშე. უსასყიდლოდ აგებს ბოგირები და ხიდებიც კი.

— იმე, ვიმუშავებ ბოშო აპა რაა?!. ჩემს საქმეს სხვა ხომ არ გამიკეთებს?!— ამბობენ მოხუცები და ახალგაზრდული ენერგიით ჩიხენ კლდოვან მთებს. გააყავე გზები 65 წლის ვანკა აბულაძემ, რომლისგანაც კანონი გზაზე მუშაობას არც კი მოითხოვს—28 დღე „დააკანკალა“ აყალომიწის ქვა-ხრეშით მოსაფენად. ფუთელმა დავით სარალიძემ გამოიყვანა თავისი საუკეთესო ხარები და 7 დღეში შეასრულა 15 დღის სამუშევარი. სვირელმა კურმატოვმა ივნისშივე მოიხადა საგზაო ბეგარა, კვალითელმა ვლადიმერ გაბრიჩიძემ 15 ივნისამდე შეასრულა თავისი დავალება საუკეთესო ხარისხის დაცვით. შრომელი ქალი ხეცურია ხამხარაძე ნამდვილი ენტუზიასტია კულტურული გზის მშენებლობისა. ბუგულა ქუხიანიძე კიდევ უკეთესი. სისტემატიურად მუშაობს კვალითელი კოლმეურნე ქალი ვლასიონ ხუსკივაძე. მათ მიჰყვებიან სხვები, ათეულები, ასეულები, ათასეულები...

კარგი გზა — სოფსაბჭოების ღირსების საქმედ გადაიქცა. ქვედა ხაჭარის სოფსაბჭოს თავმჯდომარემ გადადო თავი და მანამდე არ მოისვენა, სანამ გეგმა 170 პროცენტით არ შესრულა. პირველი ხვირის საბჭოს თავმჯდომარე შალვა რობაქიძემ 162 პროცენტით შესრულა თავისი გეგმა. მაგრამ წერაქვს ხელი მაინც არ უშვა. საქარასა და სვირს ფეხდაფეხ მისდევენ საზანოსა და კვალითის სოფლის საბჭოები.

საგზაო მშენებლობის ენტუზიასტები ზესტაფონის რაიონიდან.

□ □ □

მოდიან დამკვრელი ათისთავები, მოდის საზანოელი კობახიძე, საქარელი ჭეჟინაძე, მათ წინ მოუძღვის ახალგაზრდა ინჟინერი ანტონ კიკნაძე, საგზაო მშენებლობის საუკეთესო ტექნიკური ხელმძღვანელი ზესტაფონის რაიონში. მოჰყვებიან თავდადებული ახალგაზრდა ტექნიკოსები—კოხოძე, არაბიძე. წინ—საგზაო სექციის თავმჯდომარე, ამხანაგი სიმონ ოკრიბელაშვილი.

და ამ ხალხმა, მათმა დამკვრელურმა მუშაობამ, მათ მიერ მოსახლეობის ერთსულოვნად დარაზმვამ უდიდესი საქმე გააკეთა.

გააკეთა ახალი გზა ზესტაფონ-კაცხის მიმართულებით. გააკეთა ზესტაფონ-დილიკაურის გზა, რომელიც ჭიათურის რაიონს უერთდება. გააკეთა ზესტაფონ-საქარა-საზანოს გზა 12 ნახ. კილომეტრი სიგრძით. ზესტაფონი-ხვირი 6 ნახ. კილომეტრ. სიგრძისა, მეორე ხვირი—10 ნახ. კილომ. სიგრძისა, ხვირი-როდინოული - აჯამეთი—9 ნახ. კლმ, სიგრძისა.

... დადგებოდა შემოდგომა, ცოლცა-ცოლიკოურში მზის თვალი ჩადგებოდა, საწნახელ-ქვევრები დაირეცხებოდა, ორღობეებში „დაკაპანებული“ ურმები აჭრიალდებოდენ. მოდიოდა წვიმა და ამ გზებზე ადამიანი ვერ გაივლიდა.

მუშაობა ქართლ-კახეთ-იმერეთის გზაზე.

ახლა კი... ხადაც ხულ არ იყო, იქ ახალი გზა გაიყვანეს. ხადაც არ ვარგოდა—შეაკეთეს.

დადგა წლევანდელი შემოდგომაც. ცოლცა-ცოლიკაურშიაც მზის თვალი ჩადგა. საწნახელ-ქვევრებიც დაირეცხა, ორღობეებშიაც აჭრიალდენ ურმები, რასაც გზაც ხელს უწყობს.

დადის მოსახლეობა, დადიან ცხენები, ურმები და ასე გასინჯეთ—ავტომობილებიც კი... ავტომობილი ავიდა ძირულაში, შროშაში, ხაზანოში, ხვირში, საქარაში.

ეს დიდი ამბავია. დიდი ამბავია იმისათვის, ვისაც წინეთ წლის ამ დროს ზესტაფონის რაიონის გზებზე უვლია.

★

საგზაო მშენებლობის გეგმა ზესტაფონის რაიონმა ჯერ კიდევ სექტემბრის პირველ ნახევარში შეასრულა 36 პროცენტით.

ზესტაფონელებს საბაბი აქვთ დამშვიდების და თოხ-ნიჩაბ-წერაქვის დასვენებისა.

— არავითარი დამშვიდება,— გააფრთხილა რაიკომის მდივანმა ამხ. გრ. გაბუნიამ ამასწინად გაფართოებული რაიკომის პლენუმი.— ჩვენ საგზაო ბეგარას მაშინ მოვიხდით, როცა კარგი გზები გვექნება!

პლენუმმა მიიღო დადგენილება მუშაობის გაგრძელების შესახებ.

მოსახლეობა შეუერთდა ამ მოსაზრებას.

18 სექტემბერს მოაწყვეს პირველი გრანდიოზული შაბათობა. ამ დღეს ზესტაფონის რაიონის გზებზე მუშაობდა 4.572 კაცი, 830 ურემი და ორი ამდენი საქონელი.

6 ოქტომბერს მოაწყვეს მეორე გრანდიოზული შაბათობა. ამ დღეს გამოვიდა 3.419 კაცი, 1.04 ურემი და ორი ამდენი ხარ-კამეჩი.

6 ოქტომბერი ზესტაფონელებისათვის ზეიმის დღედ გადაიქცა. 3419 ადამიანი 3419 თოხ-ნიჩბითა და წერაქვით კლდოვან გზებზე საყვარელ სტუმრებს ელოდებოდა.

და ისინიც მოვიდნენ. ტფილისის-ბათომის მატარებელმა ჯერ კიდევ უმზეო დილით, ზესტაფონის სადგურში დასტოვა ერთი სპეციალური ვაგონი, რომლიდანაც გადმოვიდნენ ტფილისელი სტუმრები ამხ. ფილიპე მახარაძის მეთაურობით. მათ დაათვალიერეს ზესტაფონ-საქარა-საზანოს გზატკეცილი და საღამოთი გამართეს სახელდახელო მიტინგი. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა საგზაო მშენებლობის ენტუზიასტი ამხ. ფ. მახარაძე. სტუმრები იმავე ღამით დაბრუნდნენ ზესტაფონიდან. მათ წამოიღეს საუკეთესო შთაბეჭდილება ზესტაფონის რაიონის გზებსა და მის შემქმნელ ადამიანებზე.

★

მთელ ამ ჩატარებულ მუშაობაში საკმაო დამსახურება მიუძღვის საქგზატრანსის მეხუთე უბნის უფროს ბაკურაძეს და ტექნიკოს ამირანაშვილს, რომლებიც ზესტაფონის რაიონის გზებზე დაუღალავად მუშაობენ.

მაგრამ თვითონ საქგზატრანსს ემდურიან ადგილობრივი ამხანაგები. ამოდენა გზები გავიყვანეთ და ერთი „კატოკიც“ კი არ გვიძლოუზავნიათო—ჩივიან... ჩივიან იმაზედაც, რომ რაიონში „საქგზატრანსის“ არც ერთი მუშაკი არ ჩამოსულა (გარდა ყაუხჩიშვილისა) და გაცნობითაც კი არ გაუცნობიან რას ვაკეთებდითო.

მუშაობა გრძელდება. უნდა ვიფიქროთ, რომ ხულ ჩქარა ზესტაფონის რაიონს მართლაც კულტურული გზები ექნება. ეს აყენებს საავტომობილო მიმოსვლის გაძლიერების საკითხს. მართალია ამ რამდენიმე წლის წინ ზესტაფონში არც ერთი ავტომობილი არ იყო და ახლა 6 მსუბუქი და 25 საბარგო მანქანაა (18 საბარგო მარტო ფერო მარგანეცის ქარხნის ადმინისტრაციის აქვს). მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა განსაკუთრებული მარშრუტებით მუდმივი საავტომობილო მიმოსვლის დაწესებაც-კი. (ზესტაფონი-შროშა, ზესტაფონი-საზანო და სხვ.).

აუცილებელია გახსნა „სოიუზტრანსის“ სარაიონო კანტორისა, რომელიც დაუკავშირდება ქუთაისს, ჩხარს და ბაღდადს.

ეს თავისთავად გამოიწვევს „ავტორემსნაბის“ განყოფილების გახსნასაც და ავტომობილების რაოდენობის გაზრდას.

მაშინ ზესტაფონის რაიონის გამარჯვებულ მშრომელებს, მართლაც, რომ ექნებათ საფუძველი თამამად შეძახილისა:

— ჩამოდექი ურემო, „მაშინა“ მობრძანდება!

ნ. პაიჭაძე.

„ლიტერატურული გაზეთი“

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-მა საოლქო, სარაიონო და საქალაქო კომიტეტებს დაუგზავნა სპეციალური წერილი „ლიტერატურული გაზეთის“ გავრცელების შესახებ.

— დღითი-დღე, მხატვრული ლიტერატურის როლი, — ნათქვამია წერილში — იზრდება ჩვენი ქვეყნის გარდაქმნაში. განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ამ გარემოებას მწერალთა საკავშირო ყრილობამ. პარტია დიდ ყურადღებას აქცევს იდეოლოგიური ფრონტის ამ დარგს.

მწერალთა ყრილობის შემდეგ, მასების კულტურულ მოთხოვნილებათა ზრდის საფუძველზე საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაში საჭირო შეიქნა გარდატეხის მოხდენა ლიტერატურული პრესის დარგშიაც. „სალიტერატურო გაზეთი“ (ამჟამად „ლიტერატურული გაზეთის“ სახელწოდებით) პარტიისა და მწერალთა ორგანიზაციების გადაწყვეტილებით 30 სექტემბრიდან გამოდის სისტემატიურად — ყოველ გამოსასვლელ დღეს, ე. ი. თვეში ხუთჯერ. მის ირგვლივ დარაზმულია საქართველოს საუკეთესო ბელეტრისტები, კრიტიკოსები, მეცნიერული მუშაკები, იუმორისტები, ჟურნალისტები და მხატვრები. გაზეთი ამუშავებს ლიტერატურასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს და მხატვრული სიტყვის საშუალებით ეხება აგრეთვე აქტუალურ საზოგადოებრივ მოვლენებს.

გაზეთის ირგვლივ მკითხველთა ფართე მასების დარაზმვის მიზნით მწერალთა კავშირი ატარებს გაზეთზე ხელის მომწერთა შეგროვების დიდ კამპანიას. ამასთან დაკავშირებით, ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, პროფკავშირების კომუნისტურ ჯგუფებს, რედაქციებს, „სოიუზპეჩატს“, ფოსტის ორგანოებს და საერთოდ ყველა იმ ორგანიზაციას, ვისაც დამოკიდებულება აქვთ გაზეთის გავრცელებასთან, რათა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ მწერალთა კავშირს „ლიტერატურული გაზეთის“ ირგვლივ მკითხველთა ფართო მასების დარაზმვის და განსაკუთრებით წლიურ ხელისმომწერთა დიდი რაოდენობით უზრუნველყოფის საქმეში.

★

„ლიტ. გაზეთი“ გამოდის ყოველ გამოსასვლელ დღეს. ხელის მოწერა მიიღება ფოსტა-ტელეგრაფის ყველა განყოფილებებში და „სოიუზპეჩატის“ რწმუნებულებთან. წლიურ ხელისმომწერთ პრემიათ უფასოდ დაურიგდებათ მწერალთა კარიკატურების ალბომი, პატარა ფელეტონების წიგნი ლიტერატურული ცხოვრებიდან და კლასიკოსების თარგმანების წიგნი. თვიურად გაზეთი ღირება 1 მან. და 50 კაპ. მომავალში, საცალო გაყიდვის თანდათან შემცირებასთან დაკავშირებით, სასურველია მკითხველთა გადასვლა ხელისმოწერაზე.

▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽

პატარა ფელეტონი

დიმიტრი „თავდადებული“, შვიდი კრუხი და ორი კურდღელი

ბოღმითა და გულისწყრომით ალსავსეა დიმიტრი. მას ამის საბუთიც აქვს.

ადამიანს სხვისი მუცლის ტკივილი არ ეტკინება, თორემ აბა თქვენ იყოთ ერთი ასეთ მდგომარეობაში?

თავდადებული მეწისქვილე გადასროლილხარ გარღვევის გამოსასწორებლად მექათმეობის ფერმაში... გადის თვეები და ვერას ხდები. გარღვევა გაგლეჯამდე მიდის.

ან რას უნდა გახდე! შენ ერთი ხარ დიმიტრი თავდადებული, ხოლო შენს წინააღმდეგ პირი შეუკრავს 70 სულს ანუ, სწორად რომ ვთქვათ, 70 ფრთა ქათამს. ჭამენ, სვამენ, სუქდებიან, კაკანებენ, მაგრამ კვერცხის დებაზე კატეგორიულად უარს ამბობენ!

აქვთ მათ ამის უფლება? რასაკვირველია, არა. რატომ? იმიტომ, რომ მათ პატივისცემა არ აკლიათ. 90 ფუთი სიმინდი პლიუს 240 შრომა-დღე, რომელსაც ექადდის კოლმეურნეობა (მახარაძის რაიონი) ურიცხავს წლიურად დიმიტრი ვახაძეს, როგორც ფერმის გამგეს. გადაიყვანეთ ყოველივე ეს ფულზე, გაყავით 70 ქათამზე და დაინახავთ, რომ თითო ქათამი კოლმეურნეობას უჯდება დაახლოებით ას მანეთამდე.

და აი ეს პატივცემული ას მანეთიანი ქათმები ისე გათავხედდნენ, რომ გაიფიცენ და კვერცხს არ დებენ!

რა გინდა რომ ქნა? რითი გინდა გასტეხო მათი წინააღმდეგობა? ძალით ვერ დაადებინებ. იყავი და უცადე.

იყო და უცდიდა ჩვენი დიმიტრი, გულჩათხრობილი და სევდიანი. გავიდა თვე ერთი, ორი... სამი და ქათმებმა თითქოს მოახდინეს კაპიტულაცია. დაიწყეს კვერცხის დება და ძალიან უხვადაც.

დიმიტრის თითქოს ვაიშველა შესძინდეს, ისე გამხიარულდა ნათელი გახადა, რომ ქათმებს არავითარი მტრობა არ ჰქონდა მის მიმართ, პირიქით, ძალიანაც ეპათესავებოდენ მას, მხოლოდ აქ ადგილი ჰქონდა ერთ გაუგებრობას... ეს ქათმები ისეთი ჯიშის ყოფილან, რომ სიმწიფის ასაკამდე, ესე იგი წიწილობის და ვარიობის ხანაში, კვერცხს არ სდებდენ.

ექადიის მექათმეობის ფერმაში დაიწყო „ღმავლობა“ — მომრავლდა კვერცხი. მაგრამ მარტო კვერცხით ხომ ფერმა შორს ვერ წავა. კვერცხი კარგია საყლაპავად თოხლოდ მოხარშულიც და უმიც, მაგრამ წიწილიც არ არის დასაწუნი. საჭიროა წიწილების გამოჩეკა.

აგერ დგას ფერმაში ოთხი ინკუბატორი. თვითეულს შეუძლია ათასი კვერცხი გაატაროს. თვითეულს შეუძლია ჭიანჭველებივით გამოყაროს წიწილები, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ დიმიტრის ამ ინკუბატორების არაფერი გაეგება.

ღარიბი წისქვილის ტექნიკაზე აღზრდილს არ სწამს ინკუბატორი. ამიტომაც არის, რომ ისინი უმოქმედოდ დგანან.

ქათმები კი სდებენ და სდებენ კვერცხებს. გადავარდნენ მეორე უკიდურესობაში. მაგრამ არც ერთი არ ფიქრობს მოკრუხებას.

მეტი გზა არ არის. ისევ ინკუბატორში უნდა ჩაალაგოს დიმიტრიმ კვერცხები. თუ გამოჩეკს ხომ კარგი. არა და ცდა ბედის მონახევრეა. დიმიტრის მისაშველებლად კოლმეურნეობის თავმჯდომარემ წარგზავნა ფერმაში კოლმეურნე ვანო საჯაია.

საჯაიამ ჩასდო ერთ ინკუბატორში 150 კვერცხი.

— მოგიკვდეს ბიჭი დიმიტრი თუ შენზე ნაკლებად ჩაალაგოს კვერცხებიო,—თქვა ფერმის გამგემ—დიმიტრი „თავდადებულმა“, რომელმაც ითაკილა საჯაიას ჩარევა მისი ფერმის საქმეებში,—და მანაც ჩასდო მეორე ინკუბატორში 150 კვერცხი. მალე გამოირკვა შედეგებიც. საჯაიას მის ინკუბატორში ჩალაგებული 150 კვერცხიდან გამოიჩეკა 10 წიწილი, მაგრამ ათივე გაწყდა ისე რომ მზის სინათლე არ უნახავს.

გამგემ „აჯობა“ საჯაიას. 150 კვერცხიდან გამოიჩეკა 125 წიწილი, მათ ხუთი დღე იცოცხლეს და შემდეგ სული განუტევეს. ბოროტი ენები ამბობენ, რომ კვნჭებიერით დამტვრეული ღერღილი წიწილებმა ვერ მოინელეს და გადაყვნენო. დიმიტრის აზრით, კი ყველაფერი ინკუბატორების ბრალია.

ფერმის ქათმები კაკანებდნენ ნიშნის მოგებით, სდებდნენ და სდებდნენ კვერცხებს, მაგრამ მოკრუხების არავითარ სურვილს არ იჩენდნენ. თითქოს ინკუბატორებს მოუსყიდიათო.

საჭირო იყო გადამჭრელი ზომების მიღება ქათმების ასეთი საბოტაჟის გასატეხად. და აი ფერმის გამგის დიმიტრი „თავდადებულის“, იგივე ვასაძის მიერ ჩატარებულ კონსპირატიულ ღონისძიებების შედეგად ფერმაში გამოჩნდნენ შტრეიკბრეხერები — დაქირავებული კრუხები.

ინკუბატორების და ფერმის ქათმების შეთქმულება დაძლეულია.

7 დაქირავებული კრუხი დააჯდა 140 კვერცხს. ერთი იყო მაკვანეთელი კრუხი (მაკვანეთი სოფელია ქალ. მახარაძის მახლობლად) მეორე ექადიელი და ასე შემდეგ. მაგრამ აქაც უმღერთლა ბედმა დიმიტრის. მეტი ნაწილი შტრეიკბრეხერი კრუხებისა აღმოჩნდა წამგლეჯი. მაგალითად, მაკვანეთელი კრუხი დააჯდა 20 კვერცხს, იჯდა, ილაბუცა და არც ერთი წიწილიც არ გამოჩეკა. ქირად კი წაიღო თორმეტი კვერცხი და მიუტანა მის პატრონს გერონტი ნაკაიძეს. ასევე მოიქცა ექადიელი კრუხი. ისიც 20 კვერცხზე იჯდა თვლითურად, არც ერთი ნაწილი არ გამოჩეკა, მუქთად ჯდომისათვის დიმიტრის ქირად გამოართვა 15 კვერცხი და გაუდგა გზას. სხვებიც გაჰყვნენ—იქით წავიქციო,—ამას ქვია.

ჩავარდა საგონებელში ფერმის გამგე. გულმოსულმა რაც კვერცხი გაჩნდა გაიტანა ბაზარზე და გაყიდა. ამით თითქოს ჯავრი იყარა უსულგულო ქათმებზე. მაგრამ ფერმის ქათმები — თითქოს აქ არაფერი მომხდარაო ძველებური კმაყოფილებით კაკანებდენ და დღეში ანადგურებდენ 10 გირვანქა სიმინდს.

ახლა გამგემ ბრძოლა საბოტაჟნიკ ქათმების წინააღმდეგ გადაიტანა სექსუალურ სფეროში. გადასწყვიტა მათი იზოლაცია მამლებისაგან. ასი და 13 მამალი გაიყვანა და გაყიდა ბაზარზე.

— აჰა? აწი ვილას უნდა ეხუნტრუცონ? კიდევ აღარ იფიქრებენ მოკრუხებას, — თვითკმაყოფილებით იძახოდა გამგე, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ დედლების მოუკრუხებლობაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა მამლების ცუდი ყოფაქცევა.

ფერმა გადაშენების გზაზეა. ქათმები არ მრავლდებიან. მაგრამ თუ არ უნდათ გამრავლება ქე იყონ! აგერ არ მყავს ორი კურდღელი. ორი ოთხს მოიგებს, ოთხი თექვსმეტს გაუყვები და გავამრავლებ და როცა მოვალონიერებ ფერმას, მაგ საბოტაჟნიკებს სულ შამფურზე ავაგებო, — ფიქრობდა თავის გულში ფერმის გამგე და ერთადერთ იმედს გამრავლების ხაზით ამ ორ კურდღელზე ამყარებდა.

მაგრამ ბედი უნდა ყველაფერს. უყურებს ფერმის გამგე ამ ორ კურდღელს, დარიკინობენ წალმა-უკუღმა. დახტიან, დაკუნტრუშობენ და არც ერთი არ ფიქრობს „ორსულობაზე“.

უცდის დიმიტრი. ამ ცდაში გაიარა თითქმის 7 თვე და მხოლოდ ამ შვიდი თვის ლოდინის შემდეგ, როცა ჩვენ რედაქციის წარმომადგენელი იზიარებდა დიმიტრი ვასაძის მწუხარებას,—გამოირკვა, რომ ეს ორი კურდღელი ორივე დედრობითი სქესის ყოფილა და ამიტომ მონაზონურ ცხოვრებას ეწევა.

ეს ახლა გაიგო ფერმის გამგემ და დაგვპირდა ზომების მიღებას კურდღლების უბიწოების შელახვის ხაზით.

არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი. წისქვილში! წისქვილში ისევ, ჩემო დიმიტრი!

ზერჟან.

დ. ჯანელიძე

□ □ □ □ □

სოციალური მოტივები ხალხურ „ვეფხის ტყაოსანში“

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართული ზეპირსიტყვიერების შეკრებას დიდი ყურადღება მიექცა. სოფლად გასული მასწავლებლობა, ნაროდნიკული ინტელიგენცია დიდის ხალისით ჰკრეფს, ჰწერს და აქვეყნებს ზეპირი შემოქმედების ნიმუშებს და მით მომავალს უნახავს ხალხური სიტყვიერების დაუფასებელ განძსა და საუნჯეს. გაზეთ-ჟურნალების ფურცლებზე გამოჩნდა ხალხური „ვეფხის-ტყაოსანის“ ჯერ ნაწყვეტები და შემდეგ მისი სრული ვარიანტებიც. ხალხური „ვეფხის ტყაოსნის“ გამოჩენისთანავე ა. ხახანაშვილსა და ვაჟა ფშაველას შორის კამათი ატყდა. თითქოს ამ დავას უნდა გაერკვია თუ „რა ურთიერთობაა ხელოვნებით დაწერილ პოემასა და ხალხში დარჩენილ ტარიელის ამბავს შორის“. 40 წლის წინად დაყენებული საკითხი დღესაც ისევ გადაუჭრელია. იმ მრავალსხვაობათა შორის, ხალხურ ვეფხის ტყაოსანსა და რუსთაველის პოემას ურთიერთისაგან რომ ანსხვავებს, ერთი მთავართაგანია მათი სოციალური სხვაობა. ხალხური „ვეფხის ტყაოსანი“ სულ სხვა სოციალური წრის იდეოლოგიის გამომხატველია, ვიდრე სახელმოხვეჭილი პოეტის პოემა. ხალხური თქმულების გმირები სოციალური წარმოშობით სრულიად სხვა საზოგადოებრივ წრეს ეკუთვნიან ვიდრე რუსთაველის პოემით განსახიერებული სახეები.

ტარიელი რუსთაველისა გაერთიანებულ ინდოეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეობას იჩემებს: „სამართლად ტახტი უჩემოდ არვისად მისაზდომია!“, ამბობს იგი. ავთანდილიც ისწრაფვის, რომ მის თავზე „განახელმწიფოს გვირგვინი ზეცით მოსრულმან ზენამან“. ნურადინ-ფრიდონ მეფეა, ხოლო დიდი სპასპეტი ავთანდილი და ამილბარი ტარიელი ორთავე სამეფო ტახტის პრეტენდენტებია.

ხალხური „ვეფხის ტყაოსანი“ კი სულ სხვაგვარად გვაცნობს თავის გმირებს. სოლოღაშვილის მიერ ჩაწერილ თქმულებით ტარიელ, ფრიდონ და ავთანდილ ერთი უბრალო კაცის შვილები არიან. „სიკვდილის წინ მამამ მოიხმო თავის შვილები და უანდერძა: შენ ამა და ამ ადგილას ზედსიძედ შედი სამის დღის ადგილზედაო, ავთანდილს—შენ ამა და ამ ადგილზე შედიო... ტარიელს კი უთხრა: შენ შენი ძლიერი მარჯვენა გაცხოვრებს, ჩემი ხმალი და რაში შენთვის დამილოცნია, ამასთან სადმე სასწავლებელში შედიო“[1]. მართლაც „უგვარო შვილი“ მშობელი თუ შეიძლება ასეთ თავისებურ ენუქს ანდერძის ამარა ობლების დაგდებას. უკუღმართულად დარჩენილ ტარიელს, ფრიდონს და ავთანდილს ცხოვრების იძულებით ზედსიძედ შესვლა და საკუთარი მარჯვენის დარჩენია.

ქართლში ჩაწერილი ვარიანტი მოგვითხრობს: „იყო სამი ძმა კაცი: უფროსს ერქვა ტარიელი, მეორეს ავთანდილი და უმცროსს ფრიდონი. დაობლდნენ პატარები, უთხრეს ერთმანეთს: ჩვენ ცხოვრების თავი არა გვაქვს წავიდეთ სადმე და თავს ვუშველოთო. ადგნენ წავიდნენ, ფრიდონ ჩადგა ცხენის ჯოგში, ავთანდილ იმერეთის მეფესთან ვეზირად დადგა, ტარიელი აღმოსავლეთის მეფესთან ვეზირათ მივიდა“[2].

ამრიგად ცხადი ხდება რომ ლიტერატურულ ვეფხის ტყაოსანისა და ხალხურ თქმულების გმირთა ვინაობა სოციალურად ერთიმეორეს არ ემთხვევა.

ხალხური თქმულებით ტარიელ-ნესტან-დარეჯანის დაქორწინების ჩაშლა სოციალური კონფლიქტის სახეს ატარებს, აქ სულ სხვა გვარი მოტივირება გვაქვს, ვიდრე ეს რუსთაველის პოემაშია. „ტარიელმა კაცი მიუგზავნა ხელმწიფეს, ნესტარ-დარეჯანის შესახ. შენი ქალი უნდა მომათხოვო ცოლადო. ხელმწიფემ დიდი უარი შეუთვალა ტარიელს, უბრალო კაცის შვილს ქალს როგორ მივცემო“[3]. იმ შემთხვევაშიდაც, კი როდესაც ხალხური თქმულების მიხედვით ტარიელი ვეზირია, მეფე მაშინაც მაინც უარზეა. არტანელ ბეჟურა პაპუაშვილისაგან გაგონილი ვარიანტით „როცასაც ქალ-ვაჟი თავს მოვიდნენ ტარიელმა მამის ანდერძისამებრ, თავის მეფეს ქალი სთხოვა ცოლად, მაგრამ მეფემ უარი უთხრა არ იკადრა ქალი ვეზირისთვის მითხოვებაო“[4]. სო- 1888 წ. № 271. ლოღაშვილის მიერ ჩაწერილი ვარიანტით „უბრალო კაცის შვილი“ ტარიელი თავისას არ იშლის და იმდენი კადნიერება შესწევს, რომ მეფეს ემუქრება „თუ ნებით არ მომცემ ძალით წაგართმევო“. დ. ხ-ლის მიერ ჩაწერილი ვარიანტით, მეფე ტარიელს ხატაეთზე გასალაშქრებლად აგზავნის იმ იმედით, რომ „ხატაველები მოჰკლავენ ტარიელს“ და ნესტანს კი იგი საკადრის საქმროს მოუნახავს. ხატაეთზე ლაშქრობიდან ტარიელი გამარჯვებული ბრუნდება.

ბატონ ხატაეთს გამგზავნე
ბევრა ალაღებინე;
სისხლი ჩაქლავეთ მეფისა
თავზედ ჩე დამადებინე [5].
ქალი დარეჯან სხვას მიეც
შური მე ჩამადებინე. [5]

რუსთაველის პოემაში ეს ამბავი სულ სხვაგვარად არის „მარგალიტად წყობილი“. გენიოსური პოემის ავტორს სოციალური კონფლიქტის შესაძლებლობაც კი მოხსნილი აქვს. ტარიელი მეფის ერთგული ამილბარია, მისი დევიზია. „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“. იგი უცხო ქვეყნის მეფეებსაც მოწიწებით ეკიდება და მათთან შებრძოლებას გაურბის. ნესტანისა და ტარიელის დაქორწინების ჩაშლა ხალხურ პოემაში სოციალური უთანასწორობით არის მოტივირებული: „უბრალო კაცის შვილს ქალს როგორ მივცემო“ ამბობს მეფე, ხოლო რუსთაველის პოემაში ნესტანის ხვარაზმშის მეფის შვილისათვის, მითხოვება უბრალო შემთხვევის ბრალია, რადგან ტარიელმა თავის დროზე არ გაუმჟღავნა მეფეს თავისი წადილი. ხატაეთზე გალაშქრების მოტივიაცია რუსთაველს სულ სხვაგვარი აქვს ვიდრე ხალხურ „ვეფხის ტყაოსანს“. ხალხურის მიხედვით ხატაეთზე გალაშქრება მეფისათვის ერთგვარი ხერხია ტარიელის თავიდან მოსაშორებლად, სოციალურ კონფლიქტის გადასაჭრელად. ხოლო რუსთაველის პოემით ნესტანი უბრძანებს თავის მიჯნურს: „სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია... წა, შენცა ხატაელთა თავი კარგათ გამაჩვენე“-ო. ის რაც ხალხურ ეპოსში ორ სოციალურ წრის შორის—დიდგვარიანთა და „უგვაროთა“ კონფლიქტის გაღრმავებას მოასწავებს, რუსთაველის პოემაში მიჯნურთა ზნეობის ამსახველ დეტალის სახით მოსჩანს („მიჯნურსა მართებს მძლეთა მებრძოლთა მძლეობა“—24).

ხალხური ტარიელი „მაცილებისა“ თუ „მეჯულებისაგან“ დატყვევებულ ნესტან-დარეჯანის გზა კვალის ძებნაშია. „ერთ დღეს ტარიელი მიადგა, ერთ მდინარეს, სადაც ერთი კოჭლი მონა დაინახა. მონა მიდი-მოდიოდა წყლის კიდეებზე და ტიროდა.—რა გატირებსო? ჰკითხა ტარიელმა კოჭლ მონას.—ისა ბატონო, რომ ბატონთან ვარ დაბარებული და ამ მდინარეზე ხიდი არ არის და ისე ვერ გავედი და არ ვიცი რაღა ვქნაო. ტარიელს შეებრალა კოჭლი მონა, გაიშვირა ტარიელმა მკლავი და გადვა ხიდათ მდინარეზე, მონა შედგა ზედ და გავიდა“. „ბატონ“ ტარიელს „საწყალი ხალხი“ და „მონები“ მეტის მეტად ებრალება და მათი დამხმარეა. ხოლო მეფეებსა და ბატონებს კი ლასცინის, მტრობს და ებრძვის. წოდებათა შორის გაჩაღებულ ბრძოლებში ხალხური ტარიელი გლეხკაცობის მხარეზეა.

მეფემ, რომ ტარიელის ამბავი შეიტყო, თავის ფალავნები აფინ და ომარე გაგზავნა, კოჭლი მონაც თან გააყოლა „აქ მომგვარეთო“. ტარიელმა მეფეს ფალავნები დაუხოცა, კოჭლ მონას დაეწია გამოჰკითხა ამბავი და რომ გაიგო ბატონისაგან უკვე გამოგზავნილი წაავლო ხელი, აგლიჯა ცალი მხარი და ხელში მისცა.

მე რომ მხარი ამაგლიჯეს
ახეე მიმაქვს თავის მხრითა,
მითხრა: ბატონს მოუტანე
სუფრა შეიახლოს მოთა.

ამგვარად დასცინის ხალხური ტარიელი მეფე-ბატონს. გაგულისებული მეფე თავის ჯარებით გამოემართება ტარიელის შესაპყრობად. სოლოღაშვილისაგან ჩაწერილი ვარიანტით: „მეფეს ნაბრძანები ჰქონდა ჯარისთვის თუ ვინცობაა რომელიმე ჯარისაკენ გამოილის და ვერ დაიჭერენ (ტარიელს) მაშინ იმათ სულ ყველას დავხოცავო. ტარიელის რაში გულთმისანი იყო და უთხრა ტარიელს, რომ ხელმწიფეზედ გადაევლოთ და არა ჯარზედ, რათა გადაერჩინათ სიკვდილისაგან ხალხი. შეჯდა რაშზედ ტარიელი, გადაფრინდა ხელმწიფის თავზედ და შესძახა:

მინდორს ორთა ძმათაშუა
ერთი ორბი ამოფრინდა
ტარიელმა ბოძალი ჰკრა
იღლიის ქვეშ სისხლი სდინა..
ბეჟი ასჭრა და წვილი,
შვილდ-ისრისთვის წარუმად მინდა..
გლეხი-კაცი არ იკადრა
ხელმწიფეზედ გადაფრინდა.

ჯოყოლა არაბულის მიერ თქმული ვარიანტით ურჩი ტარიელი მომხდურ მეფეს შეებრძოლა: „ტარიელი გაერია ამ ურდო და ურიცხვ ხატაელთა ლაშქართა ჯარში, როგორც ქორი მტრედის გუნდში და დაუწყო ჟლეტა. გლეხი-კაცი ტარიელს ებრალებოდა და არ კადრულობდა მათთან ომსა, დიდ-კაცებსა და თავადებსა კი ულეტდა საშინლად“.

„გაერივა ხატაელთა
როგორც ტრედის გროთა-ქორი,
კაცი კაცსა, ცხენი ცხენსა
დადგა მაგეების გორი.
არ იკადრა გლეხი კაცი
თავადებზე გადავიდა“.

ახალციხელ ებრაელ მაზა მოშინათ ქალისაგან ჩაწერილი ვარიანტით, ტარიელს რომ ლერწამდარეჯანი მოსტაცეს „ტარიელი ყაჩაღად გავარდა. ხელმწიფეს მტრობა დაუწყო, კლებდა იმის ქალაქ ქვეყანას“.

ხალხური ტარიელი, მეფე-ბატონს დაუცინის, გლეხი კაცი ებრალება და არას ერჩის, „საწყალ ხალხის“ შემბრალეა, ხოლო „თავადებსა და დიდკაცებს კი ჟლეტს საშინლად“, ყაჩაღად გავარდება, ხელმწიფეს მტრობს და იკლებს მის ციხე ქვეყანას.

ხალხური „ვეფხის ტყაოსანი“ გაჟღენთილია გლეხკაცობის მებრძოლი სულით, მეფეებისა და თავადაზნაურებისადმი კლასობრივი სიძულვილით. ამიტომ არის რომ ხალხური ტარიელი ასე დიდათ განსხვავდება გენიოს შოთას პოემის მთავარ გმირისაგან.

ისე როგორც გლეხკაცობას, ვაჭართა წრესაც, ამ თავის დროზე ჩაგრულ „წოდებას“, თავის საკუთარი „ვეფხის ტყაოსანი“ ჰქონია, რომლის გმირი ავთანდილი ფეოდალებთან ბრძოლაში ვაჭართა მხარეზეა.

რუსთაველი ავთანდილის ვაჭრებთან შეხვედრას სულ სხვაგვარად აწყობს, სოციალურ ურთიერთობის თავისებურ სურათს ხატავს.

ვაჭრებმა გაიგეს, რომ ზღვაში მეკობრეები თარეშობდენ. „შევიდეთ ვაი თუ დაგვხოცონ, ძალა არა გვაქვს ომისა“. ავთანდილი ზღვაში გაჰყვება მათ, მეკობრეებს ამოსწყვეტს, ვაჭართა ქარავანს ხიფათისაგან იხსნის. ხალხური ვეფხის ტყაოსნის ერთ-ერთი ვარიანტი ავთანდილსა და ვაჭრების სულ სხვა გვარ ურთიერთობას იძლევა:

„მიმავალმა ავთანდილმა ერთს მდინარის პირად დაინახა მიწდგარი ჯარი.. ავთანდილმა გამოჰკითხა მათ ასე შეგროვების მიზეზი....—ჩვენ მგზავრნი ვაჭარნი გახლავართ—უთხრეს ავთანდილს—აქ ჩვენი დადგომისა და მწუხარების მიზეზი ის არის, რომ ამ მდინარეზე ეს ერთი ხიდია. სხვა გზა არ არის და ამ ხიდზედაც თითო პეშვ თვალმარგალიტას გადაუხდელად ამ ხიდის ბატონი არ გაგვიშვებს ხიდზედო.

— ნუ გეშინიათ, მე გაგიყვანთ და გაგანთავისუფლებთო.

წადგა ავთანდილი წინ და შესძახა ხიდის ბატონს:

— მგზავრი და ქარავანი ღვთისა არის, მათი ძარცვა და წინ ღადგომა ცოდვაა—

ეს ქარავანი ღვთისა
უერთოდ არ მამიცია;
ტარიელის მზემ გაუშვი
თორემ მტკივანი მიცია!
ეგ შენი ტვინი და სისხლი
ზღვას პირად გადამიცია.

ხიდის ბატონი არ მოეცალა გზიდამ, და ძმობილობა მოინდომა ავთანდილთან: ორივემ გაიყოთ შუაზე ძმურად მაგათგან აღებული თვალმარგალიტიო.—ესე სჯობია თორემ რას გამოურჩებით ჩვენ რომ ორთავემ ერთმანეთს თავი შევაკლათო.

მინდორს სისხლის ტბა გვიბრუნავს
ნახმლევ-ნათობ-ნაშუბარი,
ეს ქარავან დამანებე
დღეს მე და შენ გავხდეთ ძმანი.

ავთანდილს ეწყინა ესა და ერთის მათრახის გადაკვრით, დედამიწაზე. გადუშინტა მგზავრების მძარცველი ბატონი; გაუხსნა თავისუფლად გზა მგზავრებს და გაატარა. მგზავრებმა შესწირეს ლოცვა. და დიდი მადლობა ღმერთს, რომ ეხსნელი გამოუგზავნა და ლოცავდენ ავთანდილის ლოცვის გზას“[6].

რუსთაველის პოემით ავთანდილი მხოლოდ პირატებისაგან დაიცავს ვაჭრებს, ხოლო ხალხური ავთანდილი კი ვაჭართა მოსისხლე მტრებს ფეოდალებს ებრძვის ეს სხვაობა რუსთველის პოემისა და ხალხური „ვეფხის ტყაოსანს“ შორის მათ სხვადასხვა სოციალურ წარმოშობაზე მიგვითითებს. ყოველი სოციალური წრე, კლასი თავის ინტერესთა მიხედვით ათავისებურებდა ვეფხის ტყაოსნის ფაბულასა და სიუჟეტს.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ შეკრებილი არ არის და ხალხშია გაბნეული; ხალხური სიტყვიერების შესაკრებად მუშაობის გაცხოველება ბევრ საგულისხმო მასალას შეგვმატებს რუსთველის შემოქმედების შესწავლისათვისაც..

---

[1] „ივერია“ 1894 წ. № 150.

[2] „ივერია“ 1890 წ. № 7.

[3] „ივერია“ 1894 წ. № 150.

[4] „ტარიელის ზღაპარი“—„ივერია“

[5] იქვე.

[6] „ზღაპრად ხალხური ვეფხის ტყაოსანი“—„ივერია“ 1891 წ. № 75.

◆

მეისრე ჭახნოკიას წინადადების შესახებ

მეტად უხერხულად არის მოწყობილი ისრები სადგურ სამტრედიაში ბათომის მხარეზე. ისე ცუდად, რომ მატარებლის ყოველი შემოსვლისა თუ გასვლისას, საჭირო ხდება მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ლიანდაგზე ყოველგვარი სამანევრო მუშაობის შეჩერება.

— მეორე ლიანდაგზე ბათომის მატარებელი უნდა მივიღოთ. მთავარ ლიანდაგში არაფერი შემოუშვა. ბათომის მატარებელი ჯერ კიდევ არ შემოსულა, რომ მოდის მეორე განკარგულება — ბათომის მატარებლის შემოსვლის შემდეგ ბათუმისაკენ გავა სახალხო. არაფერი გამოიყვანოთ ისრებზე.

მეისრე ასრულებს სადგურის განკარგულებას. აჩერებს სამანევრო მუშაობას, აჩერებს დეპოდან გამოსასვლელ, სატვირთო მატარებლის ორთქლმავლებს და ხედავს, რომ მატარებლები იგვიანებენ. დგანან სამანევრო ორთქლმავლები, დროზე არც სატვირთო მატარებლის ორთქმავალი გამოდის და ირღვევა გრაფიკი. ამან დააფიქრა ბევრი, მათ შორის მეისრე ჭახნოკიაც და

— უნდა გამოვნახო გზა, მდგომარეობის გამოსასწორებლად — გადასწყვიტა მან. აი მთავარ ლიანდაგს, რომ გრძელი ჩიხი მოსდევს, განა არ შეიძლება ამ ჩიხის გამოყენება სამანევრო მუშაობისათვის?!. შეიძლება... აღარ იქნება საჭირო სამანევრო შემადგენლობის, თუ ორთქლმავლების მთავარ ლიანდაგზე გამოყვანა, დეე აქ გაიარონ მატარებლებმა, ჩვენ კი ამ ჩიხის საშუალებით არ მოვცდებით აღარ შევაჩერებთ მუშაობას მერე სულ ორი ისარია საჭირო...

მაგრამ ჭახნაკია შიშობს: ეს საქმე რომ აგრე ადვილი იყოს, განა აქამდი ვერ შეამჩნევდენ სპეცები და სწავლულები? აი იმ დღეს მატარებელმა რომ მოგვისწრო მანევრების დროს და დაგვეჯახა — რამდენი ინჟინერი იყო აქ. ათვალიერეს, ზომეს... ალბად საშველი არაა თორემ რათ ვერ დაინახეს ეს დიდი ჩიხი?!

— გავბედო... არ გავბედო... ფიქრობს ჭახნაკია და ბოლოს...

— შევუერთოთ ჩიხი მთავარ ლიანდაგებს ასე ჩემი აზრით მოუნდება მხოლოდ ორი ისარი და საქმეც გამოკეთდებაო—შეაქვს მას წინადადება სათანადო ინსტანციაში.

მოვიდნენ. ნახეს... დაათვალიერეს. შეიცხვეთ... სად ეიყავით ჩვენ რაღა ამ პატარა მეისრემ მიგვითითაო. და დაადგინეს: რადგანაც ჭახნაკიას წინადადება იძლევა წლიურ ეკონომიას 8 ათას მანეთს, ხოლო ორი ისრის დადგმა დაჯდება 15 ათასი მანეთი, უარი ეთქვას მეისრის წინადადებასო. ასე მოკლედ გადაჭრეს საკითხი.

არ დათანხმდა ჭახნაკია. თუნდაც რომ ასე იყოს—ჩიხი მაინც უნდა გამოვიყენოთ სთქვა მან და დასძინა—შეუძლებელია ასე ცოტა ეკონომია. 15 ათასი დღეში დარჩება. რამდენი საათი იკარგება სამანევრო მუშაობაში დღიურად. ალბათ ვერ გამოიანგარიშეს სწორად. ჭახნაკიამ მოითხოვა ხელ ახალი გამოანგარიშება.

ბოლოს მას ბედმა გაუღიმა. ინჟ. ნიჟარაძის გამოანგარიშებით წლიური ეკონომია ავიდა 368.212 მანეთამდე. ახლა მთელი სადგური ხედავს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეისრის წინადადებას, მაგრამ დირექცია მაინც არ იტკენს თავს და იძლევა პასუხს—რადგანაც 1935 წელში უნდა მოხდეს სადგურის ყველა ლიანდაგის გადაკეთება, უარი ეთქვას ჭახნოკიას წინადადებასო.

ასეთია მოკლეთ ამ წინადადების ისტორია.

ამხანაგების აზრი.

კარზე მოგვადგა საშემოდგომო საზამთრო ტვირთზიდვა. ჭახნოკიას წინადადება გაგვიადვილებს ამ მუშაობის შესრულებას ეხლა საქმე დირექციაზე და პირადათ ამხ. ღონღურიკზეა. აქ არაა საჭირო დიდი ხარჯები, დიდი სამუშაო. ორი ისრის გადაგმით კი დიდი საქმე კეთდება.

ს. დოლიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



△ △ △ △ △ △ △ △ △

— ამხ. მოლოტოვის სახელობის ავეჯეულობის ქარხანაში სამზადისი საბჭოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიისათვის დაიწყო 28 სექტემბრიდან ცალკეულმა ბრიგადებმა იკისრეს ახალი ვალდებულებანი. საბჭოთა მე-7 ყრილობისათვის ისინი გეგმის ზევით კისრულობენ საწერი მაგიდების, სკამების და სხვ. ახალი ნიმუშების გამოშვებას. ვალდებულებათა გ[illegible]ლება უკვე დაიწყო.

სურათზე: მარო ჯინჭარაძის ბრიგადა ამზადებს ტაბურეტებს. ბრიგადამ იკისრა საბჭოების მე-7 ყრილობისათვის გეგმის ზევით გამოუშვას 6.600 მანეთის მაგიდები

ტფილისის ვაგზალი სანიმუშოა

ამხ. ლ. ბერიას მითითება, რომ ტფილისი უნდა გადავაქციოთ ამიერ-კავკასიაში სანიმუშო ქალაქად, ტფილისის რკინისგზის სადგურის სამკუთხედი ფართოდ გამოეხმაურა, მან თავის საბრძოლო ამოცანად დაისახა, რომ სანიმუშო ქალაქი უზრუნველყოფილი იქნეს სანიმუშო ვაგზლით და ამის განსახორციელებლად პარტიის ტფილისის კომიტეტთან და საბჭოსთან ერთად ფართო მუშაობა გაშალა.

ვაგზლის შენობა რეკონსტრუირებულია და დღითი-დღე უმჯობესდება მისი კეთილ მოწყობა. ვაგზალთან მოწყობილია სატრანზიტო მგზავრთათვის საუკეთესო სასტუმრო, დედათა და ბავშთა ოთახი. საუკეთესო სარჩენებელი საპარიკმახერო და უკანასკნელად მოაწყვეს სამაგალითო ბუფეტი.

ბუფეტი სამაგალითოა თავის კომფორტაბელობით, სისუფთავით, მოსამსახურე პერსონალის იშვიათი თავაზიანი მომსახურებით და თვით დარბაზის მხატვრული გაფორმებით. იატაკი მოგებულია ხალიჩებით დგამი სტილიურია. კედლების მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ნიჭიერ მხატვარ პროფ. ლ. გუდიაშვილს ფანჯრებზე ჩამოკიდებულია ფარჩის შტორები. ბუფეტში მოწყობილია ესტრადა და უკრავს სიმებიანი ორკესტრი.

დღეს ტფილისის ვაგზალი ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია რკინის გზების საერთო ქსელზე. ამას ადასტურებენ საბჭოთა კავშირის სხვა მხარეებიდან ჩამოსული მგზავრები.

სურათზე: ტფილისის ვაგზლის ბუფეტის დარბაზი.

△ △ △ △ △ △ △ △ △

— სტალინის სახელობის ორთქლმავალთა შემკეთებელ ქარხნის მუშა ქალებს მუშაობის პროცესში აღარ აღარდებთ თავიანთ პატარების ბედი. თუ წინად ერთგვარ მოუსვენრობას გრძნობდენ შვილის სახლში მიტოვების გამო, დღეს მათი პატარები მათ მახლობლად ჰყავთ, ისე, რომ შესვენებების დროს შეუძლიათ მიაკითხონ, მოუალერსონ. ქარხანასთან მოწყობილია სანიმუშო საბავშო ბაგა, სადაც იშვიათი მზრუნველობით ეპყრობიან ბავშებს.

სურათზე: სტალინის სახელობის ორთქლმავალთა შემკეთებელი ქარხნის სატენდერო საამქროს მუშა-ქალი ამხ. ბაბ ფილიძე შესვენების დროს თავის ბავშს ეფერება საბავშო ბაგაში.

უკრაინის სამედიცინო მეცნიერების დეკადა საქართველოში

მეცნიერების ყოველ დარგში საბჭოთა კავშირმა მრავალი ახალი სიტყვა უთხრა კაცობრიობას. ჩვენს მეცნიერებს უდიდესი ინტერესით უსმენენ საერთაშორისო კონგრესებზე, მათ იწვევენ ამა თუ იმ სპეციალურ საკითხზე მოხსენებებისათვის სხვადასხვა ქვეყნებში და ქალაქებში.

საბჭოთა კავშირი მსოფლიოში, ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ასე ფართო ასპარეზია გაშლილი ყოველგვარი სამეცნიერო მუშაობისათვის, და ამით აიხსნება საბჭოთა კავშირისადმი ის ლტოლვა და სიმპატიები, რაც თანდათან ძლიერდება ბურჟუაზიული მეცნიერების წარმომადგენელთა შორის.

საბჭოთა სამედიცინო მეცნიერებამ შესძლო სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ფრონტზე თავისი მუშაობა გაეუმჯობესებინა იმდენად, რომ ჩვენი სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები სათანადო სამსახურს უწევენ სოციალიზმის მშენებლობას. სახალხო ჯანმრთელობა ჩვენში აღიარებულია სოციალისტური სახალხო მეურნეობის მოწინავე საპასუხისმგებლო უბნად.



დოცენტი მ. ჩერკესი.

ცალკეულ საბჭოთა რესპუბლიკებში სამედიცინო მეცნიერებამ მოგვცა ახალახალი მიღწევები. დაგროვილია დიდი გამოცდილება, ყოველდღე ახალახალ აღმოჩენებს იძლევა ჩვენი ექსპერიმენტალური მედიცინა.

ამ მიღწევების, ახალი აღმოჩენების და გამოცდილების განზოგადოება უდიდესი მნიშვნელობის ამოცანაა. ამიტომაა, რომ საქ. ჯანმრთელობის სამეცნიერო დაწესებულებები უდიდესი ინტერესით გამოეხმაურენ უკრაინის სამედიცინო - სამეცნიერო დაწესებულებათა ინიციატივას საქართველოში უკრაინის სამედიცინო მეცნიერების დეკადისა, ხოლო უკრაინაში საქ. სამედიცინო მეცნიერების დეკადის ჩატარების შესახებ.

უკრაინის სამედიცინო მეცნიერების დეკადა საქართველოში ჩატარებული იქნება 1-დან 10 ნოემბრამდე. დეკადის ჩატარებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში მონაწილეობის მისაღებად უკრაინიდან ტფილისში ჩამოვიდა უკრაინის ჯანსახკომის სამეცნიერო დაწესებულებების, ექსპერიმენტალური მედიცინის სრულიად უკრაინის ინსტიტუტის და ხარკოვის საექიმო საზოგადოების წარმომადგენელი დოცენტი მ. ჩერკესი

მისი გადმოცემით, დეკადის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად უკრაინიდან საქართველოში მოემგზავრებიან — უკრაინის ჯანსახკომის მოადგილე და უკრაინის ექსპერიმენტალური მედიცინის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. გ. ხარმანდარიანი, უკრაინის სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ბოგომოლეც, აკადემიკოსი ვ. ვორობიოვი (რომელიც დაჯილდოებულია ორდენით და ავტოთი ლენინის ნეშტის შემუშავაში მონაწილეობისათვის) პროფ. ი. ფოლბორტი (უკრაინის ფიზიოლოგ. საზოგად. თავმჯდომარე), პროფ. კოგან-იასნი, პროფ. დ. ალპერნი, პროფ. ი. გალპერნი, პროფ. ა. გრინშტეინი, დამსახურებული პროფესორი ს. კომპანეეცი, პროფ. ს. ლეიტესი, მ. მელნიკი, მ. სიტენკო, ი. ფაინშმიდტი, ა. ფედოროვსკი, მ. ცეხნოვიცერი (ბაქტერიოლოგი), პროფ. ლ. ჩერკესი; ვ. შამოვი, ე. კოგანი და პროფ. ა. მორზეევი

ჩამოსული უკრაინელი მეცნიერები 3-დან 6 ნოემბრამდე ჩაატარებენ მოხსენებებს მედიცინის სხვადასხვა სპეციალურ საკითხებზე. შემდეგ დანაწილდებიან ბრიგადებად, დაათვალიერებენ საქართველოს სამეცნიერო და სამკურნალო დაწესებულებებს და ადგილობრივ სპეციალისტებთან შეხვედრისას გაუზიარებენ მათ თავის გამოცდილებას

უკრაინელი მეცნიერების ჩამოსვლასთან დაკავშირებით ტფილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილება იწვევს ექიმთა საქალაქო კონფერენციას ტფილისის გენერალური დაგეგმვის საკითხებზე. კონფერენციაზე აზრს გამოსთქვამენ უკრაინელი მეცნიერები

9 ნოემბერს უკრაინელ მეცნიერთა ბრიგადები გაემგზავრებიან ქუთაისში, ბათომში და სოხუმში, ხოლო ნაწილი ერევანს და ბაქოში.

ამის შემდეგ დაიწყება მზადება საქართველოს სამედიცინო მეცნიერების დეკადის ჩასატარებლად უკრაინაში.

მზადება საბჭ. საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიისთვის

ხელისშემწყობი კომისია პროფსაბჭოსთან

საქ. პროფსაბჭოსთან ჩამოყალიბდა საბჭოების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიის ხელისშემწყობი კომისია, რომელშიაც შედიან ამხ. ს. ნადირაშვილი (თავმჯდომარედ), დ. გოგოხია, მაჩიტაძე (სახ. დაწესებულებათა კავშირიდან); ნ. ძიძიგური (გან. მუშაკთა კავშირიდან), შ. ანდღულაძე (საქ.-სატრაქტორო სადგურების მუშათა კავშირიდან), კილაძე (საბჭ. მეურნეობების მუშათა კავშირიდან), ბ. ჩილოჩავა (საშეფო ბიუროდან) და ერთი წარმომადგენელი საქ. ცაკიდან.

დამკვრელი ბრიგადების ჩამოყალიბება და დასაყრდენი პუნქტების გამოყოფა

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება დიდ საწარმოებში საბჭოების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიის სახელობის დამკვრელი ბრიგადების ჩამოყალიბების შესახებ. ასეთი ბრიგადები ჩამოყალიბებული იქნებიან პირველ რიგში — საორთქლმავლო - სარემონტო ქარხანაში, 26 კომუნ. სახ. ქარხანაში, მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში, 1-ლ და მე-2 სამკერვალო ფაბრიკებში, ხიდმშენის სამუშაოებზე; მთავრობის სახლის მშენებლობაზე, ტრამვაის სახელოსნოებში; ბათომის ნავთის გადამამუშავებელ ქარხნებში, ჭიათურის და ტყიბულის მაღაროებში, შირაქის საბჭოთა მეურნეობაში; ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში, კასპის ცემენტის ქარხანაში და ორჯონიკიძის სახ. მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობაში.

საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიის ჩატარებაში პროფკავშირების დასაყრდენ პუნქტებად გამოყოფილია — ბათომი, ქუთაისი, სოხუმი; სტალინირი (ყოფ. ცხინვალი) და ქალ. მახარაძე (ყოფ. ოზურგეთი).

საამშენებლო ტრესტ „ბინკომშენში"

საბჭოების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიის მზადებასთან დაკავშირებით წარმოება-დაწესებულებებში გაიშალა სოცშეჯიბრისა და დამკვრელობის ახალი ტალღა,—ბრძოლა საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებისა და გადაჭარბებისათვის.

ამ ნიშნის ქვეშ ჩატარდა 5 ოქტომბერს საამშენებლო ტრესტის „ბინკომშენის" მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება, სადაც მოსმენილ იქნა ტფილისის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნოვიკოვის მოხსენება საბჭოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიისა და მომავალი საბჭოს ამოცანების შესახებ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ინჟინრებმა კობახიძემ, ფარცვანიამ, ცარახოვმა, აიღეს ვალდებულებები თავიანთ მშენებლობათა ვადაზე დამთავრებისათვის.

ავტო-სახელოსნოს მუშებმა იკისრეს ვალდებულება საშუალო რემონტიდან ორი ავტო-მანქანის გეგმის გარეშე გამოშვებისა და წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმის 20 დეკემბრამდე (10 დღით ადრე) შესრულების შესახებ.

მიღებულ ვალდებულებათა უკეთ შესრულებისათვის „ბინკომშენის" პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციას აქვს გარდამავალი დროშა. ცალკე მშენებლობებზე მიმაგრებული იქნენ ამხანაგები მიღებულ ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად.

ფუნიკულიორის გამწვანება

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა ფუნიკულიორის გამწვანების სამუშაოთა ხელმძღვანელობას დაავალა დაუყოვნებლივ გააძლიერონ მუშაობის ტემპები და 1-ლ ნოემბრამდი მოამზადონ ნიადაგი მცენარეების დასარგავად.

ფუნიკულიორის გასამწვანებლად გათვალისწინებული სამუშაოები მიმდინარე წლისათვის უნდა დამთავრდეს ოქტომბერ-ნოემბრის განმავლობაში

წყალკანალტრესტს დავალებული აქვს უზრუნველყოს ფუნიკულიორის ტერიტორიაზე წყალსადენის სარწყავი ქსელის გაყვანა 15 ჰექტარის ფართობზე. გაზაფხულამდე სარწყავი სისტემით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მთაწმინდის ფერდობები

ნუშის ბაღები ტფილისში

ნუშის კულტურა ტფილისის მიდამოებში ახალია. მოახდინეს ცდა და გამოირკვა, რომ ნუშის ხე საუკეთესოდ ხარობს აქ და შესაძლებელია წარმატებით მოვაშენოთ იგი. ტფილისის მიდამოებში ნუშის კულტურის გავრცელების შესახებ ტფილისის საბჭომ მოისმინა სპეციალისტი აგრონომების აზრი და გადაწყვიტა შეუდგეს გარეუბნებში ნუშის ხის ბაღების გაშენებას.

წელს გადაწყვეტილი იყო დაემყნოთ 4.500 ძირი ნუშის ხე (შემოდგომაზე). დავალება შესრულებულია გადაჭარბებით და დამყნილია 4.900 ძირი, აქედან 2.700 ძირი მუხრანში და 2.200 ძირი მახარაძის სახ. კოლმეურნეობაში. გარდა ამისა 1000 ძირი დამყნო ტფილისის განათლების განყოფილების აგრო-ბიოსადგურმა.

ცირკის ახალი შენობის აგება

ტფილისის საბჭოსა და სახელმწიფო ცირკების სამმართველოს შორის მოხდა შეთანხმება ტფილისში ცირკის ახალი შენობის მშენებლობის შესახებ. მშენებლობა უნდა დაიწყოს 1935 წლის 1-ლ კვარტალში და უნდა დამთავრდეს ერთი წლის განმავლობაში. ცირკის აგება დაჯდება 3 მილიონ მანეთამდე. აქედან ხარჯის ნაწილს კისრულობს ტფილისის საბჭო, მეორე ნაწილს — სახელმწიფო ცირკების სამმართველო. აგების შემდეგ შენობა იჯარით გადაეცემა სახელმწიფო ცირკების სამმართველოს 30 წლის ვადით.

ცირკის ახალი შენობა აგებული იქნება პლეხანოვის პროსპექტზე № 145 და 147ა. იგი დაიტევს 5.000-მდე მაყურებელს და მოწყობილი იქნება საცირკო ხელოვნების უკანასკნელ მოთხოვნილებათა მიხედვით.

მეცნიერება და ტექნიკა

მარკონის ახალი რადიო-შუქურა

მიმდინარე წლის 30 ივლისს, დილის 10 საათზე, ცნობილ იტალიელ გამომგონებლის და მეცნიერის გ. მარკონის ხომალდი „ელექტრა" სანტა-მარგარიტას ნავთსადგურიდან გავიდა სესტრი ლევანტერასკენ ამ ნავთსადგურის ახლო, მთაზე, დადგმულია მარკონის მიერ აგებული რადიო-შუქურა. ზღვაში, შუქურიდან 800 მეტრის მანძილზე, 100 მეტრზე ერთმანეთისაგან, დადგმული იყო ორი გზის მაჩვენებელი კუნძი. ხომალდზე კაპიტანის სამეთვალყურო ადგილი გადაკეთებული იყო ყოველმხრივ დახურულ კაბინად. ამრიგად კაპიტანს გემის მართვა უხდებოდა ბრმად. მხოლოდ შუქურას რადიო-სიგნალების მიხედვით ცდა წარმატებით ჩატარდა: ხომალდმა სწრაფად და მოხერხებულად გაიარა გზის მაჩვენებელ კუნძებს შუა. ასეთივე წარმატებით გაიარა ეს გზა ხომალდმა უკან დაბრუნებისას.

ცნობილი გამომგონებლის ეს ახალი კონსტრუქცია ფართო პერსპექტივებს უშლის ახალი სისტემის რადიო-სიგნალიზაციის გამოყენებას, რაც საშუალებას მისცემს კურსიდან აცდენილ გემებს არა მარტო გამოარკვიონ თავიანთი ადგილმყოფელობა დიდ მანძილზე ნაპირიდან, არამედ უვნებლად შევიდნენ ნავთსადგურში სრულიად უცნობი ფარვატერით.

აქამდე არსებული საზღვაო რადიო-სიგნალიზაციის სისტემები ემყარება ელექტრო მაგნიტურ ტალღების სწორხაზოვნად გავრცელების ჰიპოტეზას. კურსიდან აცდენილი გემი გზავნის რადიო-სიგნალს, რომელსაც ერთდროულად იღებს რამდენიმე რადიო-სადგური, თითეული რადიო-სადგური სპეციალურ მოწყობილობის („რადიოგონიომეტრის") საშუალებით არკვევს მიმართულებას, საიდანაც მიღებულია სიგნალი. ყველა ეს მაჩვენებლები აღინიშნება საზღვაო რუკაზე და გემის ადგილმყოფელობა ირკვევა რადიო-სიგნალების მიმართულების მაჩვენებელი ხაზების გადაკვეთის ადგილის მიხედვით. მართალია, ამგვარი სისტემა, მთელ რიგ ნაკლოვანებათა მიუხედავათ, გემის ადგილმყოფელობის საკმაოდ ზუსტად გამორკვევის შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ ამ სისტემით სარგებლობა მოითხოვს მაღალკვალიფიციურ პერსონალს და დიდ დროს, რაც მეტად უხერხულია, როცა გზის ჩვენება სჭირდება სწრაფმავალ გემს.

მარკონიმ მიზნად დაისახა ისეთი რადიოსიგნალიზაციის მოწყობა, რომელიც საშუალებას მისცემდა გემს ბრმად გარკვეულიყო გზაში, უვნებლად მისულიყო ნავთსადგურში და, ამასთანავე, ყოველ მომენტში სცოდნოდა რა მანძილზე იმყოფება ნაპირიდან. გარდა ამისა, ეს სიგნალიზაცია რაც შეიძლება მარტივი უნდა ყოფილიყო.



მარკონიმ თავის თანამშრომელ — ბელგიელ ინჟინერ ჟ. ა. მატიეხთან ერთად გადასჭრა ეს ამოცანა. გემის კურსი უაღრესად მარტივად წესრიგდება. კაპიტანის ოთახში, გემზე, დადგმულია გალვანომეტრი, რომლის მარცხენა ნახევარი შეღებილია მწვანედ და მარჯვენა — წითლად. კაპიტანი თვალს ადევნებს გალვანომეტრის ისარს და ერთდროულად ისმენს რადიო-სიგნალებს სპეციალური სასმენის საშუალებით. როცა გემი სწორი კურსით მიდის, გალვანომეტრის ისარი რიტმიულად ქანაობს მარჯვნიდან მარცხნივ და სასმენში ისმის რბილი, თანაზომიერი სიგნალები. როგორც კი გემი ასცილდება სწორ კურსს, გაისმის მკაფიო, მჭახე სიგნალი და გალვანომეტრის ისარი გადადის მწვანე არეზე, თუ გემი სწორი გზიდან მარცხნით მიდის და — წითელზე, თუ მიდის მარჯვნივ.

იმ ანომალიების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც დაკავშირებულია საშუალო სიგრძის და მოკლე რადიო-ტალღების გავრცელებასთან, მარკონიმ თავის რადიო-შუქურაში გამოიყენა ულტრა-მოკლე ტალღები, 60 სანტ. სიგრძით. ხანგრძლივმა დაკვირვებებმა ნათელჰყო, რომ მათზე არ მოქმედობენ ატმოსფერული მოვლენები და სრულიად ერთნაირად ვრცელდებიან დღისით და ღამით ისეთ შედარებით დიდ მანძილზე, როგორიც არის 40 კმ.—რადიო-შუქურას მოქმედების რადიუსი.

მარკონის გამოგონება თვალსაჩინოდ აადვილებს გემების მართვას და ადიდებს ნაოსნობის უშიშროებას.

ქრონიკა

★ დღეს, საღამოს 8 ნახ. საათზე სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში შესრულდება რესპუბლიკის სახალხო არტისტის კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის საიუბილეო საღამო. ასეთივე საღამო გაიმართება აბელ ენუქიძის სახელობის სახ. სამ. ტექნიკუმსა და ზაქ. ფალიაშვილის სახელობის მეორე სახ. სამ. ტექნიკუმში.

★ საქ. საბჭოთა მხატვრების კავშირის გალერეაში (რუსთაველის 13) დღეს, საღამოს 7 ს. მხატვრობის კრიტიკოსი ლ. რ. ვარშავსკი (მოსკოვი) წაიკითხავს მოხსენებას თემაზე — „საბჭოთა მხატვრების შემოქმედებითი გზები 15 წლის მანძილზე". შემდეგ შთაბეჭდილებანი გამოფენიდან—„საქ. სახვითი ხელოვნების 13 წელი". საღამოზე მოწვეულნი არიან მხატვრები, მწერლები და კრიტიკოსები.

საბჭოთა კომპოზიტორების კავშირმა იკისრა სისტემატიურად მიაწოდოს მუშათა კლუბებთან ჩამოყალიბებულ თვითმოქმედ მუსიკალურ წრეებს თანამედროვე კომპოზიტორთა უახლოესი ნაწარმოებები.

ახალციხეში შეუდგენ ადგილობრივი აბანოს გაფართოებას. აბანოსთან მოწყობილი იქნება სადეზინფექციო კამერა, საპარიკმახერო, კულტკუთხე და ბუფეტი.

საქონლო პროდუქციის ამოშვ
[illegible] ტონებით

მარგანეცი

9 ოქტომბერი

საქონლო პროდუქციის გამოშვება ტონებით

გეგმა	ფაქტიური	%
3.350	2.677	80,4

გაგზავნის მიწოდება

[illegible]	[illegible]	[illegible]
187	187	153

ხელოვნება

რუსთაველის თეატრი სეზონის გახსნის წინ

რუსთაველის თეატრს გეგმაში აქვს მომავალ სეზონში მისცეს 4 ახალი პრემიერა: იულიუს კეისარი (შექსპირის), კაცია ადამიანი (ილიასი), არსენა მარაბდელი მ. ჯავახიშვილის და ქათამი და მესაათე (კოჩერგასი)

თეატრის დაკვეთით მუშაობენ ახალ პიესებზე შემდეგი ავტორები: ტ. ტაბიძე („შამილი"), გ. შატბერაშვილი („ალექსანდრე ბატონიშვილი"), ნ. თარხნიშვილი („ბრძოლა"), ი. გრიშაშვილი („ყაზარმობა"), ს. მთვარაძე („შლეგი"), კ. კალაძე („ეპოქის გმირი"), დ. ონიაშვილი („ერეკლე მეფე") და სხვ.

მიმდინარე წელს რუსთაველის თეატრის ყველა წარმოდგენები საბონემენტოა, აბონემენტების 20 სერია 200 წარმოდგენის რაოდენობით მთლიანად გასაღებულია. ამრიგად თეატრი სავსებით ორგანიზებულ მაყურებელს ემყარება, რაც პირველი შემთხვევაა ქართული თეატრის ისტორიაში. ამას გარდა გასაღებულია 200-მდე მუდმივი ბილეთი წარმოება-დაწესებულებათა მიერ. გამოშვებულ აბონემენტთა შორის არის სპეციალური აბონემენტები მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

თეატრს ჰყავს საუკეთესო კადრი. 5 წელია, რაც რუსთაველის თეატრში მუშაობს სტუდია სახელოსნო, აღნიშნულმა სტუდიამ თეატრს მისცა ამჟამად 34 კვალიფიციური მსახიობი. ამათ შორის 40 პროცენტი კომკავშირელია. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სტუდიის მუშაობა გაფართოვდა. სტუდიაში გარდა ძირითადი ქართული ჯგუფისა, რომელშიაც 40-მდე მსმენელი ითვლება,—არის აჭარისტანის სექცია 28 კაცის შემადგენლობით, სამხრეთ-ოსეთის სექცია 24 კაცის შემადგენლობით და ინგუშეთ ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან მოვლინებულთა სექცია 30 კაცის შემადგენლობით.

აჭარა, ოსეთი, ჩეჩნეთი და ინგუშეთიდან მოვლინებული ახალგაზრდობა უზრუნველყოფილია საერთო საცხოვრებლებით, სტიპენდიებით და სხვა მომარაგებით. [illegible] წლის მუშაობის შემდეგ აღნიშნული სტუდიები დაბრუნდებიან თავიანთ რესპუბლიკებში.

თეატრის შენობის რემონტი მთლიანად დამთავრებულია; სეზონი გაიხსნება 1 ოქტომბერს შილერის პიესა „ინ ტირანნოსით".



„ინ ტირანოს". სურათი მე-2 მოქმედებიდან

საზამთრო სეზონი ტფილისის მუშათა კლუბებში

ტფილისის მუშათა კლუბებმა მოსამზადებლად საზამთრო სეზონისათვის, დროზე გაშალეს წინასწარი სამუშაოები. შემოკრებილ იქნა სათანადო კვალიფიკაციის სამხატვრო ძალები, შეძენილ იქნა საჭირო ინვენტარი, შეკეთდა შენობები და სხვ.

სტალინის სახ. [illegible] და პლეხანოვის სახელობის კლუბებში საზამთრო სეზონი დაიწყება 1-ლ ნოემბრიდან. ვოროშილოვის სახელობის კლუბში კი — საზამთრო კაპიტალური შეკეთების დამთავრების შემდეგ.

დღეს, საღამოთი, ტრამვაის კლუბში საზამთრო სეზონის გახსნის აღსანიშნავად მოეწყობა დიდი მხატვრული საღამო.

ყველა მუშათა კლუბებში უკვე შედგენილია საზამთრო სეზონის სამუშაო გეგმები, მაგრამ ამ გეგმების შესრულებისათვის საჭიროა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარება და არა ხელის შეშლა, რის მაგალითიც ჩვენს სინამდვილეში საკმაოა. საზოგადოებრივი ორგანიზაციები ზაფხულობით იკავებენ კლუბების ბინებს დროებით, ხოლო ვადის გასვლის შემდეგ აღარა ზრუნავენ მათი განთავისუფლებისათვის (სტალინის სახ. კლუბი, ვოროშილოვის სახ. კლუბი და სხვ.).

ყველა ზომებით უნდა შევუწყოთ ხელი საკლუბო მუშაობის გაშლას.

სიღნაღის სახ. თეატრი

სიღნაღის სახელმწიფო თეატრში მიმდინარე წელს სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელად კვლავ მიწვეულია რეჟისორი ს მებურიშვილი. დასში შედიან როგორც ადგილობრივი ძალები, ისეთვე ცენტრიდან მოწვეული მსახიობები: გ. გო დ. ფაშაკიძე, თ. ცეცხლიშვილი და სხვ.

რეპერტუარშია ორიგინალური პიესებიდან: ს. მთვარაძის „სურამის ციხე", ი. კელის „შამილი", ახალგაზრდა დრამატურგის ს. ყაჯარიშვილის „ხანძარი"; კლასიკებიდან ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული", მისივე „ფიესკოს შეთქმულება", გ. სუნდუკიანცის „ხათაბალა", შირვან-ზადეს „ნამუსისათვის", ა. კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა" (თარგმანი ბურთიკაშვილის), კოჩერგას „მესაათე და ქათამი", როსტავარიოვსკის „ლოლარიში".

დასი მომსახურებას გაუწევს სკოლებს თვეში ორჯერ დილის წარმოდგენებს მართავს მოწაფეებისათვის.

ამჟამად თეატრში მიმდინარეობს კაპიტალური რემონტი და სცენის ტექნიკური გაუმჯობესება. ადგილობრივი ხელისუფლება არ აკლებს თეატრს თავის მზრუნველობას. მან მიმდინარე წელს დასის ხარჯების დასაფარავად 90.000 მანეთი გადადო.

მარიამ გარიყული

ლითოპონი

საერთაშორისო ვაგონის კუპე, სადაც იგი მოთავსდა, სიჩუმეს მოეცავს, მგზავრებს ძინავთ, ტექნიკური ჟურნალი, რომელსაც ერთხანს გატაცებით კითხულობდა, ნელნელა დაუშვა ხელიდან, გულზე დაიდო, თვალი ელექტრონის ჭაღს გაუშტერა.

„ცოლშვილმა მატარებლამდის მოაცილა. პატარა ანდრი ხელს უქნევდა მამას, ეთხოვებოდა; ისინი დღესვე წავლენ ქუთაისში. მათთან ერთად, ფიქრში, ისიც დადის ქუთაისის ნაცნობ ქუჩებში. აი წერეთლის ქუჩა, ყოფილი ბალახვანის; ძველ ქალაქში აღარ ჩანს ძველისძველი ტალახი. ასფალტით მოფენილ განიერ გზატკეცილზე გრიალით მიდის მშენებლობის ეტლი.

სისხამი, დილაა მან პალტოს საყელო წამოიწია, ფიქრით დანისლულ თვალებს აყოლებს ქუჩის ნაპირებს. ეტლი შეჰყვა აღმართს; ერთი-ორი ამოიქშინეს ცხენებმა, რამდენიმე ნახტომი გააკეთეს, რკინისგზის შტოს გადაურბინეს და კომბინატის სამმართველოს წინ გაჩერდენ. კაცი გადმოხტა ეტლიდან; კანტორა დაკეტილია; ქუჩა გადასჭრა, პატარა ეზოზე გადავიდა, საამშენებლო მოედანზე შედგა ფეხი; წვრილი ნაგებობანი. მრავალი ფიცრული ბარაკი, რკინის ლიანდაგით დახლართული მოედანი — თვალწინ აღმართა უზარმაზარი რუხი შენობა, ბეტონარმატურის სვეტები, თაღები, ხარაჩოები. მთავარი კორპუსი ნახევრად შეხურულია ფისნაწებ მუყაოთი. საერთო მშენებლობა თითქმის ნახევრამდეა მოყვანილი და ახლა ახალი შეფერხება, — საკითხი ისევ დაისვა მშენებლობის ადგილის შესახებ.

„შეიძლება მშენებლობა?" არა, არავითარ შემთხვევაში. საქმე ისევ გამობრუნდება, აქ დამუშავდება ლითოპონ-ტყვიის ბუდეები გოგირდოვანი საშუალებით; აქ იქნება გოგირდ-ბარიუმის საამქრო ისეც თუთიის განყოფილება [illegible] ქლორის საამქრო დაიჭერს, ისეც სარეზერვო გამოსაწვავი ღუმელის ადგილი, აქ კი შეერთდება ორივე განყოფილების პროდუქცია და მოხდება მათი რეაქცია. აქ დაიდგმის საწნეხები, ისეც ფილტრ პრესები, სხვადასხვა ზომის, სხვადასხვა წნევის; შემდეგ ვაკუუმ - აპარატები, ცენტრიფუგები და, წისქვილი, — ლაპარაკობს კაცი თავისთვის, გონებას ეკამათება, ადგამს განიერ ნაბიჯებს, გადადის დახვავებულ ფიცრებზე, რკინის ლიანდაგებზე, აგურებზე და სიმშრალეში შეწყობილ მანქანის ნაწილებზე.

და ასე, ფიქრში გართული, ვაგონის ფარდაახდილ ფანჯრიდან გაჰყურებს იგი არემარეს. ექსპრესი ბორბლებქვეშ ყლაპავს აზერბაიჯანის მიწებს...

დიდ ქალაქში დიდი მანძილებია. იგი ცხოვრობს იმ დიდი ქალაქის სასტუმრო „ინტერნაციონალის" ნომრებში. საქმეზე მიდიან მასთან, თავისუფალი წუთები არა აქვს; ისიც დადის ერთთან, მეორესთან, მეათესთან, უმტკიცებს, უსაბუთებს, ცდილობს, დაარწმუნოს ყველანი. ცდილობს და კიდეც მიაღწია სასურველ შედეგს, როცა უფროსს სათანადოდ განუმარტა და აუხსნა საქმის ვითარება.

მანაც გულდასმით მოუსმინა უმცროს ამხანაგს, სქელი ულვაში მაგრად დაიგრიხა, ჭაღარანარევ ხუჭუჭა თმებზე გადისვა ხელი, წინგაშლილ ქაღალდზე მსხვილი წერტილი დაამრგვალა, ტუჩები მაგრა მოკუმა, მოიხმო ვინც ამ საქმისთვის ეპირვებოდა, და გასცა განკარგულება:

— მშენებლობა განაგრძეთ, დაწყებული საქმე ბოლომდის უნდა მივიდეს...

მოატანა ზაფხულმა, მშენებლობაზე მიაღწია დეპეშამ, რომ იგი გამარჯვებული ბრუნდებოდა მოსკოვიდან.

ისევ ექსპრესი მოიქროლებდა. ახლა სასიხარულოთ სავსე მოიქროდა კაცს გული. მთელი ამ ხნის განმავლობაში ღებულობდა დეპეშებს ოჯახისაგან და მშენებლობიდან, ყველაზე ძნელი იყო მისთვის, როცა საქმე ერთ დონეზე შეჩერდა; რამდენიმე თვის შემდეგ კი იგი ისევ უბრუნდება მშენებლობას უკვე გამარჯვებული.



ქუთაისის ლითოპონის ქარხნის მშენებლობა (მთავარი კორპუსი).

△ △ △ △ △ △ △ △

ქარხანას დაუდგა აყვავების ახალი ხანა, გარემოება სულ შეიცვალა, მშენებლობა ნთქავს ფულს, მასალას. სამუშაო დღეებს, ახლა ყველა დაჩქარებით დარბის, მანქანა მანქანას, ეტლი ეტლს, ურემი ურემს მისდევს. ორი ათასი მუშა ისევე გამოცოცხლდა, ამოძრავდა, აფუსფუსდა და შევსია მშენებლობის მოედანს, დაწყებულ კორპუსებს.

სწორედ ამ მომენტში მივედი მეც მშენებლობაზე. ინტერესით ვათვალიერებ ყველაფერს. ავედი სულ მაღლა, კორპუსის თავზე თან მიმყვება ახალგაზრდა მშენებელი ინჟინერი იმედაძე, რომელიც ორი წელია აქ მუშაობს. ის მაცნობს ქარხნის ისტორიას, მის ვითარებას მომითხრობს ამხანაგების თავდადებულ მუშაობაზე, დირექტორის ორგანიზატორულ უნარსა და ენერგიულობაზე.

მთავარი კორპუსის სახურავი მთავრდება; აქედან გადავყურებთ ქალაქს. ქალაქის გულზე მშენებლობის ფართოდ გაშლილია თავისი ტილო. და იმდენ ახალ წამოწყებას გადაჰყურებს ბაგრატის ტაძრის ნანგრევი, სახე დაღარული მოხუცს, გული ტკივა, მისი დრო წავიდა, ველარ გაუწევს ქვეყანას მომსახურებას. და ახლა მხოლოდ ისტორიული ნაგებობის მნიშვნელობით დაჰყურებს ქალაქს.

რიონი დაშრალა, გარეის დიდიდან მდინარის ქვეშ მდებარე სიპი კლდეები თეთრ უნაგირებივით ამოჩრილა, ბაგრატის ნანგრევის გვერდზე იალქანივით რიონჰესის შუქურა აღმართულია და მწვანე ყვავილის გვირაბ კაშხალისაგან იღებს იმ ძალას, რითაც ანათებს ღამის წყვდიადს, აწვდის სინათლეს მთელ მხარეს, ამოძრავებს მატარებლებს და ამუშავებს ფაბრიკა-ქარხნებს.

ეს ადგილი, სადაც ახალი მშენებლობა მიდის, ერთ დროს ქუთაისის ღარიბ მობინადრეთა და სოფლიდან მოსული ღატაკი გლეხობის ხელით გაშენდა; პატარ-პატარა ქოხმახებს ქვითკირის შენობებიც მიემატა. მაშინ მრავლად იყო აქ ტყის ქათამი და ნაყანევში მწყერი. საღორიის უდაბური ტყე ახლოს ჰქონდათ და ნადირობით იოლად გა[illegible]

[illegible]

მუშის ქარხანა და ამ წუთს თითქმის საღებავის მომავალ ქარხნის ტერიტორიაზე მადგას ფეხი.

მზე შუბის ტარზე აიწია, სახურავი თითქმის სავით აენთო, ხელოსნებს ზევიდან მზე აჭერთ და ხელში მდუღარე ფისი უჭირავთ, კორპუსზე გადაჭრილ თხელ ფიცრებზე ფისით აწებებენ მუყაოს. ყველაფერი დუღს და ვარვარებს.

— წავიდეთ,—ვეუბნები თანამგზავრს. ფრთხილად ჩამოვდივართ საცალფეხო კიბეებზე, ჩამოვატანეთ მთავარი კორპუსის გრილ კედლებს. მთელი სოფელი [illegible] მილიონის ხალხს შეფიქრავს. თვალსუსტად დადიან შიგ ავტომანქანები, ძროხები, ურმები, შეაქვთ და გამოაქვთ სხვადასხვა მასალა.

ყოჩაღი მომუშავეები ჰყავს ამ მშენებლობას, ისინი ცდილობენ საქმე წინ წაიწიონ. ასეთები არიან:

მეარმატურე — შალვა დინდუა; ის დამკვრელურად მუშაობდა რიონჰესის გვირაბის გაჭრაზე.

მეარმატურე ვალიკო კობაძე. — ზაჰეს-რიონჰესმა მის ხელში გამოიარა, ბევრჯერ იყო დაჯილდოებული.

დურგალი გიორგი ჩიკვაიძე საქართველოს ყველა მშენებლობის კარგად იცნობს მას.

მებეტონე ვართანიანი; კრაქოლის ქიმკომბინატიდან მოსული.

დურგალი კარპოვი; [illegible] მუშა.

ამ მშენებლობაზე ქალებისთვის თვალსაჩინო სამუშაოები არ არის; მხოლოდ დამხმარე ძალებში გაირჩევიან მაგ. უხარევსკაია და გალუშკინა.

ყველა ეს ამხანაგები დამკვრელები არიან, ცეცხლს უნთებენ მშენებლობას, აქეზებენ ჩამორჩენილ მუშებს, გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს და ცდილობენ ჯილდოს. დღითიდღეობით სწრაფად მიდის მშენებლობა, კეთდება ისე, იმდენი, რაც მთელ 1932 წელს გაუკეთებიათ. ამ ტემპებით ისინი შესძლებენ მიაღწიონ მიზანს — 1937 წელს აამუშაონ ქარხანა. მაშინ მას ეყოლება 5 ათასი მუშა და წელიწადში გამოიმუშავებს 12 ათას ტონა ლითოპონს.

[illegible]

14 ოქტომბერს 15 აბონ. 1 წარ. in Tirannos	5 ოქტომბერს მე-10 აბ. 1 წარ. in Tirannos	16 ოქტომბერს 1 აბონ. 1 წარ. in Tirannos

ვისაც მეორე გადასახადი არ ექნება შეტანილი წარმოდგენაზე არ დაიშვება

სალარო ღიაა 11—2 ს. 6—9 საათამდე.

დასაწყისი 8 საათზე

ოქტომბერი 7-30 და 9-30, 11	ახალი ხმოვ. დოკუმენტალური ფილმი „ოლიმპიადა" ამიერკავკასიის ხალხთა ხელოვნებაზე
დამკვრელი ბაზაში 7-30 9-30 11	ვერცხლის შარფი მეორე სერია დასაწყისი 6-30.
დამკვრელი ბაზაში 7-30. 10. 11-15 [illegible]	ვერცხლის შარფი მეორე სერია დასაწყისი 6-30.
[illegible] ბაზაში 9-30	ახალი ქართული კომედია „ალენის ხიჭვარული"
[illegible] ბაზაში 7-45 9-15. 10-45	„ვერცხლის შარფი" 1-ლი სერია
[illegible] ბაზაზე 9-10 10	მხატვრული ფილმი [illegible]
ლიბქნეხტის სახელობის 7-30, 8. 9-30, 11	ახალი ხმოვანი—ძიებაპარაკი ფილმი [illegible]
„კომინტერნის" ბაზაზე დასაწყისი 9-15. 10	მხატვრული კომედია [illegible]

[illegible] დღის სეანსები ბავშვებისათვის.
დასაწყისი 12 1.30

მისამართები: რედაქციის, რუსთაველის პროსპექტი № 14, გამომცემლობის, რუსთაველის პროსპ. № 24 ტელეფონები რედაქტორის 3—33—36, რედაქტორის მოადგილის 3—62—08, პასუხისმგებელი მდივნის 3—03,38, [illegible] განყოფილების 3—70—81, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, საწარმოო განყოფილების 3—72—40, სტამბის 3—27—64.

სტამბა „კომუნისტი", [illegible] № 66

მთავლიტის რწმუნებული 8440